# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 23 მარტი 2007 №64 (2987) ფასი 50 თეთრი



*დავით თავართქილაძე გლაზგოდან*

# ხვალ ვიღაცა გააფრენს ტოპის ინდოსიურპრიზი

შოთა არველაძე კევს ბერავს და იცინის — ამ ფოტომ შოტლანდიური გაზეთები მოიარა. შოთა „ბაბლიგუმით“ მართლაც შთამბეჭდავი ფოტო გამოდგა და, საერთოდაც, აქაური გაზეთები არველაძეზე და ზურაბ ხიზანიშვილზე იმდენს წერენ, ალბათ მათი რეინჯერსელობისას რომ არ უწერიათ.

გუშინ, ნაშუადღევს, საქართველოს ნაკრებმა „რეინჯერსის“ ბაზაზე მეორედ ივარჯიშა. ბაზის ხუთივე მინდორს ნაკელის სუნი ასდიოდა — სასუქით გამდიდრებული მინდორი ქართველებმა დაახლოებით საათნახევარი დაქაცევს.

ჟურნალისტებს ვარჯიშზე ფოტოს გადაღება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აგვეკრძალა. ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია აიბროქსელების ბაზის ერთხელ გამოყენებაში 600 გირვანქას იხდის — ალბათ არველაძის ხათრით თუ დასჯერდა „რეინჯერსი“ ბაზის ასე იაფად გაქირავებას.

ვარჯიში ტაქტიკური იყო. კარგად გამოჩნდა, რომ კლაუს ტოპმიოლერი 4-4-2 სქემას ეყრდნობა. ტრავმის გამო ჩვენს ნაკრებს კახა კალაძე და ოთარ ხიზანეიშვილი რომ გამოაკლდნენ, მწვრთნელმა მათ შემცვლელს არ უხმო — გუშინდელ ვარჯიშზე ისიც შევამჩნიეთ, თუ ვის დააყენებს ტოპი დაცვაში და დანარჩენ რგოლებშიც...

დაცვაში ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, ზაალ ელიავა და გიორგი შაშიაშვილი (ან გოგიტა გოგუა) ითამაშებენ.

ნახევარდაცვაში ლევან კობიაშვილი, ლადო ბურდული, ლევან ცქიტიშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი, ვისაც ტოპიმ, შესაძლოა, გოგუა ამჯობინოს. თავდასხმაში კი არველაძის მეწყვილე გიორგი დემეტრაძე ან ალექსანდრე იაშვილი იქნება.

მოკლედ, ორი-სამი პოზიციის გარდა, საქართველოს ნაკრები გუშინდელ ვარჯიშზე გაიშიფრა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, დღეს ან ხვალ რამე შეიცვალოს. თუმც ამის ალბათობა მცირე ჩანს.

ბურთის გადატანა საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე — ეს ყველაფერი ხდებოდა მოკლე პასებით, სამკუთხედებით და სწრაფად.

საღამოს ხუთი საათისთვის გუნდი სასტუმროში დაბრუნდა და ტოპმიოლერმაც სიურპრიზი მოამზადა — სასტუმროში ვახშმობის ნაცვლად, გუნდი ავტობუსში ჩასვა და ინდურ რესტორანში წაიყვანა.

ავტობუსში ჩასხდომამდე ***ლევან კობიაშვილს*** გავესაუბრე, ვინც ხვალ გუნდს უკაპიტნებს...

**— თითქმის ყველა შესარჩევში საქართველოს ნაკრები ყველა გარდამტეხ შეხვედრაში მარცხდებოდა. რამდენია იმის შანსი, რომ ეს ტრადიცია დაირღვეს?**

— იმედი და განწყობა კარგია, ბოლო ორი ამხანაგური მატჩი ხომ მოვიგეთ. რა თქმა უნდა, ახლა სულ სხვა თამაში გველის, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მოსაგებად გავდივართ მოედანზე. ადრე კი სახელიან მეტოქესთან მინიმალური სხვაობით წაგებისასაც კმაყოფილები ვიყავით. იმის მიუხედავად, რომ შოტლანდია ჯგუფის ლიდერია, ყველას გვესმის, რომ ქულის მოპოვება რეალურია.

**— ტოპმიოლერი აქცენტს რაზე აკეთებს?**

— თუ შოტლანდიას ბრძოლისუნარიანობაში ჩამოვრჩით, აუცილებლად დავმარცხდებით, მთავარია, ორთაბრძოლებში არაფერი დავუთმოთ. ჩვენ შოტლანდიაზე ტექნიკური გუნდი გვყავს.

და რასა იქმს ამ დროს სქოთთა მენეჯერი ალექს მაკლიში? მან დახურული ვარჯიში ჩაატარა, თუმც პოზიორობს — „სქოთიშ მინერალ ვოთერ“ შოტლანდიის ნაკრების ერთ-ერთი სპონსორია. ახალი ხელშეკრულებით, შოტლანდიის ნაკრები და ეს კომპანია სპორტის მხარდამჭერ აქციას აწყობენ — ყოველი ბოთლიდან შემოსული თანხის წილი ფეხბურთსა და რაგბის მოხმარდება. მაკლიშის და ამ კომპანიის სარეკლამო ფოტოებმა გუშინ გლაზგოური გაზეთები ააჭრელა.

მაკლიში ხვალინდელი და 28 მარტის იტალიასთან მატჩისთვის 4 ქულის აღებას გეგმავს. ამ აქციისას მან ასეთი რამ თქვა: „თუ ოთხ ქულას ავიღებთ, გავაფრენ!“

24 მარტის თამაშს „რეინჯერსის“ ჟურნალიც გამოეხმაურა და ექვსი გვერდი დაუთმო: არველაძე და ხიზანიშვილი — ამ გვარებს გლაზგოში სად არ ამოიკითხავ და სად არ გაიგებ.

არველაძე სასტუმროში ყოფილმა რეინჯერსელებმა ინახულეს, მათ შორის, ალექს რაემ და ჰოლანდიელმა არტურ ნუმანმა.

დღეს მაკლიში პრესკონფერენციას მართავს და, შესაძლოა, ქართველი ჟურნალისტებიც დაგვასწრონ. ტოპმიოლერი კი „ჰემპდენ პარკზე“ შეხვდება ჟურნალისტებს.

დაცვაში არ უნდა ჩავდგეთ — მეტოქეს შეტევის საშუალება არ უნდა მივცეთ — ტოპმიოლერს საქმე აქეთ მიჰყავს...



# ელენე დღეს!

AFP

ტოკიოში მიმდინარე ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს ქართველი ელენე გედევანიშვილი დღეს დაიწყებს. ელენე სავალდებულო პროგრამას შეასრულებს. საამტურნიროდ გედევანიშვილი აშშ-ში მოემზადა და, როგორც მისი პირადი მწვრთნელი გალინა ზმიევსკაია ამბობს, ჩვენიანი მინიმუმ ათეულში უნდა მოხვდეს. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატში კი ელენემ მე-14 ადგილი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა მოციგურავემ რუსეთიდან აბარგების შემდეგ სეზონი ნორმალურად დაიწყო და თებერვალში ევროპის ჩემპიონატზე მერვე ადგილი დაიკავა.

# უეფამ ცას ახედა: ითამაშეთ!

ჩახვალთ და ითამაშებთ! — მოკლედ და გასაგებად უთხრა უეფამ უკრაინელებს. ასე რომ, ფარერები — უკრაინა ჩატარდება.

ამ მატჩის საფრთხე, გეხსომებათ, თოვლი იყო. უკრაინელებს გადათეთრებულ კუნძულებზე ჩასვლა და თამაში გულზე არ დაეხატებოდათ და ამიტომაც ატეხეს ერთი ამბავი, თუმცა...

გუშინ ტორსჰავნში უეფას დელეგატი ჩავიდა, დათოვლილ მოედანზე გაიარ-გამოიარა, ცას ახედა და თქვა: „საგანგაშო არაფერია. ფარერელებმა პირობა დადეს, მოედანს თოვლისგან გავწმენდთო. უეფას კოდექსითაც, აუცილებელი არ არის, ბალახი ყოველ მტკაველზე ბიბინებდეს — მთავარია, საფარი სწორი იყოს და ხაზები მკვეთრად ჩანდეს“.

მოკლედ, სხვა გზა რომ არ ჰქონდა, დღეს დილით უკრაინა აიბარგა და კუნძულებისკენ გაფრინდა — მატჩი ხვალ გაიმართება, ფარერელებს კი 28 მარტს თბილისში ველით...

ევროპის ერთა თასი. 24 მარტი.15 საათი. თბილისი. ეროვნული

# საქართველო vs რუსეთი

cpp

# დღეს იყო სიტყვა, ხვალ — საქმე!



გუშინ რუსეთის ნაკრებმა ხუთდღიანი ბაქოური შეკრება დაასრულა და დღეს თბილისში გამოფრინდება. „დათვებს“ საქართველოს ნაკრების მწვრთნელყოფილი, ფრანგი კლოდ სორელი ჩამოუძღვება და, თქმა არ უნდა, მის გამოზრდილ და ხუთი თითივით ნაცნობ საქართველოს ნაკრებს დიდ ბრძოლას გაუმართავს.

უქმად არც ქართველები არიან. „ლელოები“ სამი დღეა, ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდნენ და რუსების დასახვედრად კუნთებს ახურებენ. არადა, ჩვენებს აკლიათ შვიდი ძირითადი რაზმელი, მაგრამ ვინც არიან, მათივე თქმით, რუსებს ისინიც უნდა ეყონ.

დღეს წინასამატჩო ბოლო მოთელვაა. პრესკონფერენციაზე სათქმელი ორივე მხარეს ექნება. გასარკვევი კი ხვალ გაირკვევა.

1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი“ აცხადებს
ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო
კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და
მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან. ადგილები შეზღუდულია.
ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.
მისამართი: ლუბლიანას 18; ტელ: 54 00 77; 54 00 39

# მე ვარ ამტანი და მე ვარ გამტანი

## კრის ბოიდი საქართველოს ემუქრება



**24 მარტის** შოტლანდია — საქართველოს თამაშისთვის სქოთთა მწვრთნელ ალექს მაკლიშს საფიქრალი ნამდვილად აქვს — ვინ დააყენოს შეტევაში ჯეიმს მაკფადენის არყოფნაში. არჩევანი კი საკმარისზე მეტია — სელტიკელები კრეიგ ბიტი და კენი მილერი, რეინჯერსელი კრის ბოიდი თუ „ასტონ ვილას" შემტევი შონ მელოუნი.

კრის ბოიდი ბრიტანული პრესის მეშვეობით ცდილობს, დაარწმუნოს მაკლიში, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშის ღირსია.

— შემიძლია, თავდასხმაში მარტომაც ვითამაშო, როგორც ეს უეფას თასზე „ჰაპოელის" წინააღმდეგ იყო, მაგრამ უფრო უკეთ შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ვითამაშე „აბერდინთან", სადაც ჩემი მეწყვილე დადო პრშო იყო. საქართველოსთან პრშო ვერ დამეხმარება, რადგან ის ხორვატია, თუმც კარგი მეწყვილე იქნებოდა კენი მილერი. კენისთან ერთად შეგვიძლია უამრავი პრობლემა შევუქმნათ ქართველებს — ამბობს ბოიდი.

ბოიდი „რეინჯერსის" ლიდერია. მიმდინარე სეზონში „ჩაფრების" მაისურით 25 ბურთი გაიტანა. ბოლო ტურში „აბერდინთან" სულაც ჰეთ თრიკი გააზერხა, თუმც მრავლად ჰყავს კრიტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მას გაცილებით მეტი შეუძლია, თავად ბოიდს კი სურს, კრიტიკოსებს მწარე სიტყვები საქართველოსთან თამაშის მერე უკან წაალებინოს.

„კრიტიკოსი ყველას ჰყავს, ეს ცხოვრების წესია. მე კი მინდა, მათ ვუთხრა, რომ სჯობს, უფრო კორექტულნი იყვნენ. სეზონში საკმარისად გავიტანე, მეტიც შემიძლია და ამას საქართველოსთანაც მოვახერხებ" — პასუხობს კრიტიკოსებს „რეინჯერსის" შემტევი.

ბრიტანული პრესა ბოიდს შეახსენებს, რომ გულშემატკივარი მხოლოდ მოგებას ითხოვს. ხომ არ იმოქმედებს ეს ზეწოლა ფეხბურთელებზე?

„ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს. ასეთი თამაში „რეინჯერსს" ყოველ კვირას აქვს. გულშემატკივარი ყველა მატჩის მოგებას ითხოვს. ასე რომ, ზეწოლა პირადად ჩემზე არ იმოქმედებს — ამას შეჩვეული ვარ. ჩემთვის მთავარია, მოედანზე ვიყო" — დასძინა ბოიდმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მოგონებანი გლაზგოურ წუთთა

## უჰრინმა და თორდაშვილმა ტრიბუნა და ბურთი გაიხსენეს

**ხვალ** შოტლანდია — საქართველოა, ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მატჩი რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ჯგუფის ლიდერი ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერს მასპინძლობს. შოტლანდია მოგების შემთხვევაში ფინალური ეტაპისკენ მოზრდილ ნაბიჯსაც გადადგამს. საქართველო კი დაამტკიცებს, რომ თურქეთ-ურუგვაისთან მოგება, ხოლო იტალია-უკრაინასთან კარგი თამაში შემთხვევითობა არ ყოფილა.

ამ მატჩისადმი მასპინძელთა და ჩვენი დიდი ინტერესი ბუნებრივია — საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სკაისპორტის გარდა შოტლანდია — საქართველოს პირდაპირ ეთერში ჩვენება „ინტერ-ფეხბოლსა" და უკრაინულ „სპორტ 1-ს" აქვთ დაგეგმილი.

მოკლედ, დიდი მატჩის მოლოდინში ვართ...

დიდი ინტერესით ელიან ამ შეხვედრას „დინამოს" ჩეხი თავკაცი დუშან უჰრინი და „ამერის" ბავშვთა გუნდის მწვრთნელი როსტომ თორდაშვილი...

ცხადია, იკითხავთ, ესენი რა შუაში არიანო. გეტყვით: დუშან უჰრინის ჩეხეთის ჩემპიონ „სპარტას" 1992 წელს შოტლანდიის ჩემპიონი „რეინჯერსი" ჩემპიონთა ლიგაში ჰყავს დამარცხებული, ხოლო როსტომ თორდაშვილს „ბათუმის" შემადგენლობაში 1995 წელს თასების თასზე „სელტიკთან" გლაზგოშიც უთამაშია.

შოტლანდიური ფეხბურთი კი სხვა რა არის, თუ არა „რეინჯერსი" და „სელტიკი"?!

*დუშან უჰრინი:* „სავსე სტადიონი, თავისი გუნდის წარმატებაში დარწმუნებული და ზეიმის მომლოდინე ხალხი დახვდება საქართველოს გლაზგოში. სტადიონზე ისეთი ატმოსფეროა, გინდა, არგინდა, თავს დადებ და ბოლომდე დაიხარჯები. ჩვენ მაშინ ძალიან ძლიერ „რეინჯერსს" შევხვდით. პირველი მატჩი პრაღაში იყო და 1:0 მოვიგეთ. საპასუხოში კი 3:1 ვაგებდით, მაგრამ შემდეგ ერთი გოლიც გავიტანეთ და მომდევნო ეტაპზე „სპარტა" გავიდა. მას შემდეგ თითქმის 15 წელი გავიდა და ახლაც კარგად მახსოვს, რა ხდებოდა მაშინ „აიბროქსზე", შოტლანდიაში საოცარი ქომაგობა იციან. ვიდრე „რეინჯერსს" შევხვდებოდით, „სელტიკ" — „რეინჯერსის" მატჩს დავესწარი და ტრიბუნაზე თავად შევიგრძენი ის მუხტი, რომელიც ფანებისგან ფეხბურთელებისკენ მიდიოდა. ეს საოცრება იყო.

— 1992 წლის შემდეგ ბრიტანული ფეხბურთი შეიცვალა. მაგალითად, ინგლისის პრემიერლიგის ოთხივე საუკეთესო გუნდს უცხოელი მწვრთნელი ჰყავს. ალექს ფერგიუსონი სწორედ შოტლანდიელია, მაგრამ ინგლისელი არ არის, ბრიტანული ფეხბურთის მანერას კი სწორედ ინგლისი განსაზღვრავს. ბრიტანულ ფეხბურთზე უდიდესი გავლენა სწორედ უცხოელებს აქვთ. ახლა მოედანზე აგრესიას ტექნიკური ფეხბურთიც ახლავს, საოცარი ტემპია.

— ცხადია, შოტლანდია საქართველოსთან აქცენტს სწრაფ გოლზე გააკეთებს და ძალიან არ მსურს, საქართველო მდევრის როლში ვნახო. შოტლანდიას, [illegible] თავის დროზე მსოფლიო[illegible] და ევროპის ჩემპიონატებზე რეგულარულად მონაწილეობდა, ბოლო პერიოდში ფინალურ ეტაპზე გასვლის ისეთი შანსი არ ჰქონია, როგორიც ახლა. ამიტომაც ვამბობ, რომ ისინი თავიდანვე შეტევას მიეძალებიან და ამითაც ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვებას შეეცდებიან. თუმცა ქართველებმა ბურთი იციან და ალბათ შეეცდებიან, ის დიდხანს აკონტროლონ. კლაუს ტოპმოლერი გამოცდილი და ძლიერი სპეციალისტია და დარწმუნებული ვარ, მას მეტოქე საფუძვლიანად ექნება შესწავლილი. მოუთმენლად ველი ამ შეხვედრას. საქართველოს დიდი ქომაგი ვარ, და ძალიან მსურს, ნაკრები შინ სამი ქულით დაბრუნდეს."

*როსტომ თორდაშვილი:* „სელტიკ პარკზე" გუნდი მატჩისწინა მოთელვაზე გავიდა და ტრიბუნები თითქმის ცარიელი იყო. გასახდელიდან მოედანზე გასულებს კი უკვე 60 ათასი კაცი დაგვხვდა. ის, თუ როგორ ქომაგობენ გლაზგოში თავის გუნდს, ჩემთვის დაუვიწყარია. არანაირი ლანძღვა-გინება, არანაირი შეურაცხყოფა, ქომაგები მღერიან და ნაირნაირი შეძახილებით ამხნევებენ თავის ფეხბურთელებს, თუმც ისიცაა, რომ საქართველოს ნაკრებში ახლა ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, სავსე სტადიონი რომ აღარ უნდა უკვირდეთ. მთავარია, ჩვენები შოტლანდიაში ემოციებს არ აჰყვნენ. მგონია, რომ შოტლანდიელები საწყისი 10-12 წუთი ჩვენების კართან შტურმის მოწყობას შეეცდებიან.

— „ბათუმმა" „სელტიკთან" შინ 2:3 წააგო, მაგრამ ესეც ისეთი თამაში იყო, შოტლანდიელთა შემადგენლობის მიუხედავად წაგებას არ ვიმსახურებდით. „სელტიკ პარკზეც" წავაგეთ, თუმცა ჩვენ რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი გავაცუდეთ, მათ კი ყველა გამოიყენეს.

— პრესინგი და 10-12 წუთი შტურმი — ვფიქრობ, შოტლანდია თამაშს ასე დაიწყებს და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ჩვენები ამ პერიოდს როგორ გადაიტანენ. ბრიტანელები ისედაც მაღალ ტემპში თამაშობენ და არა მგონია, მთელი მატჩი შეტევაში გაატარონ.

— შოტლანდიელები, რაც იმ მატჩისას შევნიშნე, მდგომარეობიდან გამოდიან, თუ მათ ბურთი დაუჭირეს და აქეთ-იქით არბენინეს. ისინი ასეთ დროს ძალიან ხისტად თამაშობენ, თუმცა უბურთო ფეხბურთელს არ ეკარებიან."

...ისე, ქართულ-შოტლანდიურ ერთ ამბავს თუ გავიხსენებთ, მსოფლიოს 1982 წლის ესპანეთის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირმა და შოტლანდიამ ერთმანეთში ითამაშეს, მატჩი 2:2 დამთავრდა. ერთი გოლი ალექსანდრე ჩივაძემ გაიტანა, მეორე — რამაზ შენგელიამ. შემდეგ ეტაპზეც საბჭოთა ნაკრები გავიდა...

**კობა ინასარიძე**

### ბულგარეთი

ვიშა ლიგა
XIX ტური

**ჩერნო მორე 1:0 ბეროე**

### უნგრეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი

**ფერენცვაროში 0:2 ვაშაში**

### ამხანაგური მატჩი

**მავრიკეთი 0:3 კოტ დივუარი**

## geo_geo_fan@hotmail.com

**GIO 81:** გამიხარდა ამ რუბრიკის განახლება, მიყვარს ამ რუბრიკის წაკითხვა, ისევე როგორც მთლიანად „სარბიელის"... ურუგვაისთან და თურქეთთან მოგების მერე გამარჯვების იმედი ისე გამიჩნდა, როგორც არასდროს. ღმერთმა არ ქნას, რომ მორიგი იმედგაცრუება ვნახო. მაინც მგონია, რომ არ წავაგებთ, ან 1:1 იქნება, ან 2:1 მოვიგებთ. ღმერთმა ქნას, შაბათს, საღამოს 9 საათზე სიხარულისგან აკანკალებული ხელებით დამეწეროს გამარჯვებისადმი მიძღვნილი წერილი, შაბათს საღამოს ყველანი ბედნიერები ვყოფილიყავით და მთელ საქართველოს მივულოცო შოტლანდიასთან გამარჯვება. მერე ფარერებთან იოლ თამაშსაც ამაყები შევხვდებით. მიდით, საქართველოს ბიჭებო...

**LUKA 158:** გაუმარჯოს „სარბიელს"!

რა ვქნა, მეც ძალიან ოპტიმისტი ვარ ამ თამაშის წინ, ოღონდ ვერაფრით ამიხსნია, რატომ. ალბათ უფრო ტოპის იმედი მაქვს. ამ კაცმა, მგონი, თვალებში გამოგვახედა, როგორ მინდა, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც გაუმართლოს.

ჩემი აზრით, ტოპმიოლერი ის მწვრთნელია, ვინც ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება და ამას მაშინაც ვიტყვი, გლაზგოში რომც წავაგოთ. ტოპი სუპერია და ბიჭებმაც თავი თუ დადეს, უეჭველი მოვიგებთ.

მთავარია, ტრიბუნებთან არ დავმარცხდეთ!!!

geo_geo_fan@hotmail.com




31.03.2007 - მე-18-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-ამერი | ოლიმპი-მერანი |
| დილა-ტორპედო | სამტრედია-ვიტ ჯორჯია 2 |
| დინამო (თბ) -სიონი | მაღაროელი-მგლები |
| ბათუმი-კახეთი | როტ ვაისი-მიუნხენ 1860 |
| ჩიხურა-ზესტაფონი | ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | |

# რეჰანის გემო

## გერმანელებმა ქართულ სამზარეულოში ჩაიხედეს

საქართველოს ჩემპიონატს რუსთავის „ოლიმპი" ლიდერობს, რომლის მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი თვლის, რომ მისი გუნდის სიძლიერე ერთიანობაშია. რუსთაველთა მწვრთნელს საქართველოს ნაკრებზეც დავეკითხეთ და საინტერესო საუბარიც შედგა...



— „ოლიმპში", ხელმძღვანელობით დაწყებული, რიგითი მუშაკით დამთავრებული, ყველა პროფესიონალები არიან. ამას ემატება მეგობრული ურთიერთობები და არის კიდეც ერთი კარგი გუნდი. გაჭირვებაშიც და ლხინშიც ერთად ვართ.

**— ბევრის აზრით, ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი „ოლიმპს" აქვს...**

— „ამერს", „დინამოს", „ზესტაფონსა" და ჩვენ თანაბარი შანსები გვაქვს, „ვიტ ჯორჯიამ" კი უკვე ბევრი ქულა დაკარგა.

**— როგორ ფიქრობთ, წინა წლებთან შედარებით ჩემპიონატის დონე ამაღლდა?**

— ამ საკითხში კატეგორიული ვერ ვიქნები, თუმცა დამეთანხმებით, ამ ჩემპიონატში საკმაოდ დიდი ინტრიგაა. ჩემპიონობისთვის რამდენიმე გუნდი იბრძვის. შედარება არ შეიძლება, მსაჯობის მხრივაც აშკარა პროგრესია.

**— პერსპექტიულ ფეხბურთელებს თუ ხედავთ?**

— ახალგაზრდებში გამოვარჩევ ლევან ყენიას. „ოლიმპთან" თამაშისას მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ნიჭიერება.

**— თქვენი აზრი საქართველოს ეროვნულ გუნდზე...**

— საქართველოს ნაკრები სწორი გზით მიდის. ფეხბურთის ფედერაციამ კარგი ნაბიჯი გადადგა ტოპმიოლერის ჩამოყვანით. ნაკრებმა ბოლო მატჩები კარგად ჩაატარა, მწვრთნელის ხელი დაეტყო. ამ ორ თვეში ტოპმიოლერს ოთხჯერ შევხვდი და დავრწმუნდი, რომ ის ფორმაშია. გერმანელებმა ქართული ფეხბურთის სამზარეულოში ჩაიხედეს და უკვე იციან, რა არის ბოლოკი, რეჰანი და წიწმატი. ეს აუცილებლად მოიტანს შედეგს. მჯერა, ტოპმიოლერი შოტლანდიასთან და ფარერებთან მაქსიმალურ შედეგს მიაღწევს.

**ნუკრი ლოლაძე**

# მშვიდად, შვიდად

**აზერბაიჯანში** შეკრებაზე მყოფმა „ამერმა" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ქართველების მეტოქე აზერბაიჯანის პირველი ლიგის ლიდერი ბაქოს „სტანდარტი" იყო. თამაში „ინტერის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა.

სტანდარტელებს ამ კვირას ჩემპიონატის თამაში აქვთ, ამის გამო მათმა მწვრთნელმა რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და „ამერთან" მეორე შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე დაიმატა.

მატჩი „ამერის" სრული უპირატესობით წარიმართა, ქართველებმა სწრაფი გოლებიც გაიტანეს და საბოლოოდ 7:0 მოიგეს. ანგარიში დიმიტრი ტატანაშვილმა გახსნა მე-2 წუთზე, საგოლე პასი კი ტატანაშვილს სულიკო დავითაშვილმა მისცა. მეორე გოლი, მე-6 წუთზე, თავად დავითაშვილმა გაიტანა ვლადიმერ კაკაშვილის პასით. მესამე „ამერმა" მე-12 წუთზე შეაგდო — გიორგი დავითნიძემ გრიგოლ დოლიძის ნაკუთხურალ ბურთს თავი ზუსტად დაჰკრა. მომდევნო გოლი ისევ სტანდარტული სიტუაციიდან ვახტანგ ხვადაგიანმა შეაგდო მე-19 წუთზე. მეხუთე და მეექვსე გოლებიც პირველ ტაიმში გავიდა — იური გაბისკირიამ და გრიგოლ დოლიძემ 37-ე და 39-ე წუთებზე გაიტანეს. მეორე ტაიმში კი „ამერმა" მხოლოდ ერთხელ დალაშქრა „სტანდარტის" კარი. 78-ე წუთზე ტრავმამოშუშებულმა დავით ბოლქვაძემ გაიტანა.

„ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, კაკაშვილი, მესხი, ვაჩეიშვილი, დობროვოლსკი, დოლიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი.** შეცვლაზე შევიდნენ: ფირანიშვილი, სევასტოპულო, სილაგავა, გაბისკირია, ბოლქვაძე.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ამერს" აზერბაიჯანში საქართველოს 19-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებული ექვსი ფეხბურთელი არ ახლავს.



ბოლო, მეშვიდე სტანდარტული გოლი დავით ბოლქვაძისა (№17) იყო



# VS საქართველო ფარერები

## 28 მარტი. 20 საათი

მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყება 2007 წლის 25 მარტს. კვირას, 12 საათზე.

ბილეთები გაიყიდება 25, 26, 27, 28 მარტს 12-დან 17 საათამდე

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მხოლოდ ეროვნული სტადიონის სალაროებში.

სალაროებში ბილეთები გაიყიდება სექტორებისა და ფასების მიხედვით.

**ბილეთების ფასებია:** 5, 10, 20 ლარი

მატჩზე უბილეთოდ ბავშვები არ დაიშვებიან.

მანქანები მხოლოდ საგანგებო საშვებით დაიშვებიან სტადიონის ტერიტორიაზე (საგურამოს ქუჩიდან).

**სიახლე!**

მატჩზე დასასწრები ბილეთები იქნება ოთხი ფერის (წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი) და თითოეული ფერის ბილეთის მფლობელისთვის გამოყოფილი იქნება ცალკე შესასვლელი:

**წითელი (სამხრეთი):** ცაბაძის ქუჩისა და წერეთლის გამზირის კუთხე — ოთხი ჭიშკარი.

**ყვითელი (ჩრდილოეთი) და ლურჯის (დასავლეთი)** ნაწილი: საგურამოს ქუჩისა და წერეთლის გამზირის კუთხე - ხუთი ჭიშკარი.

**ლურჯი (დასავლეთი):** ყიფიანისა და ცაბაძის ქუჩების კუთხე — სამი ჭიშკარი. ცაბაძის ქუჩა — ოთხი ჭიშკარი.

**მწვანე (აღმოსავლეთი):** წერეთლის გამზირი — ხუთი ჭიშკარი.

სულ გაიღება სტადიონზე არსებული ოცდაერთივე ჭიშკარი და ყველა შიდა კარი (თამაშამდეც და მატჩის დამთავრებისთანავეც).

სტადიონის შესასვლელებში იქნება საინფორმაციო ტრაფარეტები, სტადიონის ტერიტორიაზე განლაგდება საინფორმაციო პუნქტები. მატჩს მოემსახურება 60 უნიფორმიანი სტიუარდი, რომლებისგანაც გულშემატკივრები ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას მიიღებენ.

ბილეთების ფასების მიხედვით ასე დაიყოფა:

**5 ლარი** — წითელი და ყვითელი (ორივე იარუსი)

**10 ლარი** — სექტორები: 5, 6, 11, 12 (დასავლეთი) სექტორები: 20, 21, 22, 25, 26, 27 (აღმოსავლეთი)

**20 ლარი** — სექტორები: 13, 14, 15, 16, 23, 24 (აღმოსავლეთი), სექტორები: 7, 9, 10 (დასვლეთი)

უმორჩილესად გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ აღნიშნულ სიახლეს, რომელიც გულშემატკივართა კომფორტისთვის ინერგება და რომელიც შეთანხმებულია სტადიონის ხელმძღვანელობასთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და თბილისის მერიასთან.

*სფფ-ის პრესცენტრი*

# მოწყენილი უნიჭო მხატვარი
## ტიერი ანრიმ ტელევიზორი მოიშორა

**ტიერი ანრი** ტელევიზორში ფეხბურთს აღარ უყურებს — კაცი, რომელიც ჩვეულებრივ ეკრანის წინ არის მიწებებული და თვალმშიერი უცქერს საფეხბურთო რეპორტაჟებს ევროპის ნებისმიერი ქვეყნიდან, უცებ შემოსწყრა თავის გატაცებას.

„არსენალის" ფრანგი ვარსკვლავი, მოგეხსენებათ, საზარდულისა და მუცლის ტკივილების გამო სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს, ჰოდა, ტელევიზორთან გაბუტვის მიზეზიც, თურმე, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ:

„ფეხბურთს ხშირად ნამდვილად აღარ ვუყურებ. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც თავად ვერ ვთამაშობ, სხვათა ცქერა გულს მტკენს და ვერ მამხნევებს — თქვა ანრიმ — თუმცა, მწამს, რომ ეს დროებითია და სულ მალე ისევ მივუჯდები ტელევიზორს. ისიც მჯერა, რომ ფეხბურთის ცქერა ერთი ხნის შემდეგ პირიქით იმოქმედებს ჩემზე, გამომაცოცხლებს და ვარჯიშისკენ მიბიძგებს. რა არის, იცით? დაშავებული რომ ხარ, განა მხოლოდ იმაზე გწყდება გული რომ ვერ თამაშობ, საშინლად მოწყენილიც ხარ. წარმოუდგენლად მოწყენილი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ განვიცდი ვარჯიშებზე რომ ვერ დავდივარ? ერთი სული მაქვს, როდის გავეშურები საწვრთნელი ცენტრისკენ".

ჯანმრთელად რომ იყოს, ანრი, ბუნებრივია, საფრანგეთის ნაკრებში იქნებოდა გამოძახებული და ხვალ ლიტველებს შეხვდებოდა. იმავდროულად, ინგლისელები, მოგეხსენებათ, ისრაელს უნდა ეთამაშონ, ანრისთვის კი ინგლისი, ფაქტობრივად, მეორე სამშობლოდ იქცა.

„ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ ისრაელი ძლიერი გუნდია და მისი დამარცხება ინგლისელებს გაუჭირდებათ" — ამბობს არსენალელი, რომელიც დროს უქმად არ კარგავს და „პეპსი კოლას" რეკლამებში მონაწილეობს — ქილა თავად მოახატვინეს.

„ძალიან ვიხალისე. რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი გოგონა არც დამიჯერებს რომ ეს მე დავხატე" — იცინის ვარსკვლავი და როდესაც ეკითხებიან, სკოლაში ხატვა ეხერხებოდა თუ არა, პასუხობს:

„არა. სამეცნიერო საგნები მიყვარდა, ენებს ვსწავლობდი და გეოგრაფიაშიც ვერკვეოდი, მაგრამ ხატვა, ისევე, როგორც ისტორია, ფრანგული ენა და ლიტერატურა, არ მაინტერესებდა".




ბაჰუნა ძედია



სტივი და ალექსი

# სტივენ ჯერარდი იმპერიის ორდენით

„ლივერპულის" კაპიტანი და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით თვით დედოფალმა ელისაბედმა დააჯილდოვა.

ეს ამბავი გუშინწინ ბუკინგემის სასახლეში მოხდა, სადაც ჯერარდი მეგობარ გოგონასთან, ალექს კურანთან ერთად მიბრძანდა.

„ბევრ ფინალში თუ უმნიშვნელოვანეს მატჩში მითამაშია, მაგრამ ისეთი რამ, რაც დედოფალთან პირადი შეხვედრისას განვიცადე, არასოდეს მიგრძნია" — უთხრა აღელვებულმა ორდენოსანმა ჟურნალისტებს.

გაჟა ხუციშვილი

# არავისში შევეშალოთ!



**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდ უეინ რუნის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ეგ კი არა, მსხვილი ფირმები თუ კომპანიები უკვე რუნის ოჯახის წევრებსაც გადასწვდნენ და სარეკლამო რგოლებში გადაღების სანაცვლოდ უზარმაზარ ჰონორარებს ჰპირდებიან.

თავად უეინს რამდენიმემილიონი შემოსავალი აქვს რეკლამებიდან, ამ საქმეში ფეხი მოიკიდა მისმა საცოლემ კოლინ მაკლაფლინმაც. ახლა კი გრემის ჯერია — უეინის უმცროსი ძმისა.

გრემი უნივერმაღების ქსელ TJ Hughes-ის სახე ხდება.

„ეს არ არის ვარსკვლავებისთვის, ეს არის მათთვის, ვისაც ფულის თვლა ეხერხება" — ასეთია რეკლამის სლოგანი.

გრემ რუნის მთავარი კოზირი ისაა, რომ წყლის წვეთივით ჰგავს უეინს.

გრემი სამოყვარულო კლუბ „ლობსტერში" თამაშობს და TJ Hughes-გან ჰონორარის სახით 15 ათას გირვანქას მიიღებს, რაც მისთვის სერიოზული თანხაა.

ქახა შალამბერიძე

# ფრენა სიკვდილთან თამაშით

**უცნაური** კაცია დენი ვიტჩოლსი, 39 წლის, საგრაფო ესექსში მცხოვრები...

ბრიტანეთში მას პარაშუტით მხტომელ კაცად იცნობენ, თუმცა უცნაური ისაა, რომ დასაშვებ ობიექტად ინგლისის სტადიონებს ირჩევს.

და აი, სამშაბათს ის განახლებულ „უემბლის" სახურავზე დაეშვა.

„როგორც კი ახალი „უემბლის" ფოტო ვნახე, მაშინვე გავიფიქრე, ამ სტადიონზე უნდა დავეშვა-თქო. ეს ძალიან სარისკო საქმე იყო, რადგან ეს სახურავი სპეციფიკურია და უმცირესი შეცდომაც კი სიკვდილის ფასად დამიჯდებოდა" — განუცხადა ჟურნალისტებს ვიტჩოლსმა, ვისაც დღემდე უკვე 450 სასტადიონო დაჯდომა მოუგროვდა...



ქახა შალამბერიძე



# ესა და ისა
## წარმოიდგინეთ, მისეირნობთ პარკში...

**საინტერესოა,** როგორ მოიქცეოდით, ქალაქის პარკში ძაღლის გასასეირნებლად გასული „ისა და ესა და ისა" წყვილს რომ წამოსდგომოდით თავზე? ნუ, ვინაიდან ჩვენში პოლიციის დაძახება ცუდი საქციელია, რამე რომ უთხრა კიდევ, რა იცი, ვინ არის, სავარაუდოდ, გვერდზე ჩაივლიდით იმ იმედით რომ მალე ნაცნობებს მოუყვებით ყველაფერს.

და თუ ხედავთ, რომ „ესა და ისა და ესა" წყვილს საბავშვო ეტლში ახალშობილი უწევთ, ოღონდ ეტლი, ყოველი შემთხვევისთვის, პირით იქით მიუტრიალებიათ, ახალშობილმა „ესა და ისა" რომ არ დაინახოს?

მაინც იგივეს იზამდით...

ინგლისში კი მოსახლეობა სხვაგვარად ფიქრობს. იქაურებს მიაჩნიათ, რომ „ესა და ისა და ესა" პარკში არ უნდა ხდებოდეს, მით უფრო, როდესაც ბავშვი გყავს გასასეირნებლად გამოყვანილი და შორიახლოს სხვებიც დადიან. ამიტომაც ატეხა ჩხუბი და აყალმაყალი ძაღლის გასასეირნებლად გამოსულმა რამდენიმე მოქალაქემ, ოღონდ... „ესა და ისა და ისა" წყვილმა ეს ჩვენი მეძაღლეები აინუნშიც არ ჩააგდო — ძალიან იყვნენ დაკავებულნი.

ჰოდა, საბოლოოდ რა გამოვიდა? კაცს 500 გირვანქა ჯარიმა, ქალს — 250.

კაცი, გახლდათ 37 წლის სტივენ ანტრობუსი „უიმბლდონის", „მილოულის" და „შრიუსბერის" ყოფილი ფეხბურთელი, დღეს კი ბავშვთა მწვრთნელი საზოგადოებრივ საწყისებზე და ინვალიდთა დამხმარე, ხოლო ქალი — გადია დები მეტიუზი, ანუ ბავშვი ეტლში მისი შვილი კი არ იყო, სხვისი ჰყავდა გასასეირნებლად გამოყვანილი.

საინტერესოა, ის ბავშვი რომ გაიზრდება, ამ ამბავს როგორ მოყვება...



# ჯონ ტერი: მტერი იყოს ისეთ დღეში

**მოახლოვდა** სანაკრებო უქმეები და ევროპულ პრესაშიც თემები შეიცვალა — ინგლისური „სანი“ წერს, რომ მათიეროვნული გუნდის კაპიტანი ჯონ ტერი ყოველი სანაკრებო მარცხის შემდეგ ქალაქში მოლუშულ სახეებს აწყდება და გული სტკივა.

„ყველაზე ცუდი წაგებული მატჩის მეორე დღეა, როდესაც ქუჩებში ხალხს აკვირდები — თქვა კაპიტანმა — ამ საძაგელი განცდის გადალახვას დიდი დრო მიაქვს“.

ხვალ ტერი ინგლისს ისრაელის წინააღმდეგ გაუძღვება მოედანზე, წინა თამაში კი ხორვატიაში ავადმოსაგონარი მარცხი იყო — 0:2.

„ნებისმიერი თამაშის წაგება ცუდია, ნაკრების მარცხი კი განსაკუთრებული საშინელება გახლავთ. მეორე მხრივ, ინგლისის სახელით გამოსვლაც სწორედ ეს არის: მოიგებ — ორმაგად ბედნიერი ხარ, წააგებ და ორმაგად ითრგუნები. ჩვენ ბოლო თამაში ხორვატიაში წავაგეთ, მას მერე კი ხუთი თვეა გასული. როგორია, ხუთი თვის განმავლობაში ვერაფერი შეცვალო და წაგების მწარე გემო ვერ მოიცილო? ახლა, როდესაც ისრაელთან სათამაშოდ ისევ ერთად შევიკრიბეთ, ამ ყველაფერზე ვილაპარაკეთ და მოედანზე ამ ნალაპარაკევის გადატანას ვაპირებთ“.

შემდეგ, „ჩელსის“ ვარსკვლავმა ისრაელის ნაკრები შეაქო და მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული გუნდიც კი უწოდა, მაგრამ იქვე დაამატა, ინგლისი მოიგებსო...

„დარჩენილ თამაშებს დადებითი მხრიდან უნდა შევხედოთ. ჩვენ გვეძლევა მშვენიერი საშუალება, მოედანზე გავიდეთ და მსოფლიოს საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ კარგი შედეგები ვაჩვენოთ. ჩვენი ამოცანაა, გულშემატკივარს გუნება გამოვუსწოროთ“.

ისრაელის შემდეგ, 28 მარტს, ინგლისი ანდორაში თამაშობს...

**პაპუნა ძედია**

# ლიპი და ვიალი ჩელსიში?



**ლონდონის** „ჩელსი“ მომავალ სეზონში, შესაძლოა, მარჩელო ლიპიმ ჩაიბაროს, მისი თანაშემწე კი ჯანლუკა ვიალი იყოს — ამგვარი ინფორმაცია გაავრცელა იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა“.

ლიპი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც დაუკავშირეს „ჩელსის“, თუმცა ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ აღნიშნა — იტალიელთან კონტაქტი არ გვქონიაო. ცოტა ხნის წინ კი თავად ლიპიმ თქვა, პრემიერლიგა კარგია, მაგრამ არა მგონია, იქ ვიმუშავო, მთავარი ბარიერი ენის არცოდნააო. მას კარიერის სამშობლოში გაგრძელება უფრო უნდა...

ამასობაში კი რომან აბრამოვიჩი ჟოზე მაურინიუსთან შეხვედრას აპირებს — ისინი ან შერიგდებიან, ან იმ საკომპენსაციო თანხაზე შეთანხმდებიან, რომელიც პორტუგალიელმა სპეციალისტმა კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში უნდა მიიღოს.

მაუს „ჩელსისთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ჩეხისთვის პირველი და მეორე სულერთია

**შარშან შემოდგომაზე „რედინგთან“ მატჩში „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხმა თავის მძიმე ტრავმა მიიღო და ოთხი თვე მკურნალობდა... იგი ამჟამად ისევ ფორმაშია და აღარც კი ახსოვს, რა გადაიტანა რედინგში. ძველ და ახალ ჩეხს შორის განსხვავება ჩაფხუტია, რომელიც დაახლოებით სამი წელი უნდა ატაროს — ცხადია, მხოლოდ თამაშისას. „ჩელსის“ ჩეხმა მეკარემ წლეულს ერთი ჯილდო უკვე მოაყუჩა და დანარჩენების მოგებაც უნდა...**



**— „კარლინგის თასის“ მოგება რამდენად მნიშვნელოვანი იყო „ჩელსისთვის“?**

— ნებისმიერი ჯილდო სასიხარულოა, განსაკუთრებით სეზონის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე მოგებული, რადგან ეს თავდაჯერებულობას გვმატებს — ჩვენ ხომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც ვართ, ასოციაციის თასის ნახევარფინალშიც გავედით და პრემიერლიგის ჩემპიონობისთვისაც ვიბრძვით.

**— რა გაიფიქრეთ, როცა ფინალში ჯონ ტერის არსენალელი აბუ დიაბის ფეხი მოხვდა სახეში და მოცელილივით დაეცა?**

— ტერი ფიზიკურად ძლიერია და არ შემშინებია, მაგრამ როცა ფეხბურთელების რეაქცია დავინახე, ვიფიქრე, რომ საქმე რთულად იყო. დაახლოებით მსგავსი რამ დამემართა მეც და არაფერი მახსოვს. მხოლოდ ტერის მაგალითზე მივხვდი, რაც გადავიტანე.

**— ამჟამად ოპტიმალურ ფორმაში ხართ?**

— მგონი, კი. ბოლო მატჩებში კარგად ვთამაშობ და ტრავმა აღარც კი მახსოვს. ფიზიკურადაც ჯანზე ვარ და ვარჯიშებიც მეხალისება.

**— თამაშის დროს რედინგში მომხდარი არ გახსენდებათ ხოლმე?**

— მოედანზე გასვლის შემდეგ ვცდილობ, მხოლოდ ჩემს საკეთებელზე ვიფიქრო და სხვა ყველაფერი თავიდან ამოვიგდო. ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველ მატჩში ცოტა გამიჭირდა მობილიზება, მაგრამ ნელ-ნელა მივეჩვიე.

**— ამ სეზონში, წინა ორისგან განსხვავებით, „ჩელსი“ მდევრის როლშია. ამ ფაქტმა ფეხბურთელების მენტალიტეტი ხომ არ შეცვალა?**

— არა მგონია. ჩემი აზრით, მნიშვნელობა არ აქვს, პირველზე ხარ თუ მეორეზე, მთავარი მოგებაა. ლიდერი სხვაობის შენარჩუნებას ცდილობს, მდევარი კი შემცირებას. ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევა მოგებას გავალდებულებს. საკუთარი ძალის ისევე გვწამს, როგორც შარშან — ამბიცია და გუნდური სული შენარჩუნებულია. ამ სეზონში ტრავმებმა გაგვაწამა და ამიტომაც ჩამოვრჩებით „მანჩესტერს“, მაგრამ ექვსქულიან სხვაობას ვინარჩუნებთ. ვიმედოვნებთ, რომ ლიდერს დავეწევით და გავასწრებთ კიდეც.

**— ალბათ, უიღბლობაა ისიც, რომ „ჩელსის“ ძირითადი მცველები დაუშავდნენ...**

— ვერ გამიგია, რატომ მოხდა ასე. ჯერ მეკარე, მერე მცველები... ეს ხომ მწვრთნელისთვის და მთელი გუნდისთვის დიდი პრობლემაა. ვფიქრობ, რთული ვითარებიდან ღირსეულად გამოგვიყვანა მიკაელ ესიენმა, რომელმაც ცენტრალური მცველობა იკისრა და კარგადაც გაართვა თავი.

**— ნელ-ნელა ანდრეი შევჩენკოც შეეგუა გუნდს...**

— სხვა ლიგაში გადასვლა და უმალ გოლების გატანა ყოველთვის რთულია. მაგალითად, დიდიე დროგბას შესაგუებლად ორი თვე დასჭირდა. შევჩენკოს ცოტა მეტი, მაგრამ კარგია ორი ასეთი ფორვარდის ყოლა, რომლებსაც საჭირო მომენტში გატანა შეუძლიათ.

**— თქვენ კი მალევე შეეჩვიეთ პრემიერლიგას. ალბათ ფორვარდებისთვის ეს გაცილებით ძნელია...**

— მთავარი კარგად დაწყებაა, რაც თავდაჯერებულობას გმატებს და მერე ყველაფერი აეწყობა.

**— დროგბაზე რას იტყვით?**

— როცა „რენში“ მეორე სეზონს ვთამაშობდი, დროგბა მაშინ „მარსელში“ იყო და 30 გოლი შეაგდო. მეგონა, რომ უსასრულოდ შეეძლო გატანა. ასევე ბრწყინავს ამ სეზონში. ის მუდამ იბრძვის და მცველებს ისე დასდევს, თითქოს თვითონ იყოს მცველი. მთავარი კი ისაა, რომ მატჩის ბედის გადამწყვეტი გოლების გატანა ეხერხება.

**— ჟოზე მაურინიუს გვარი ძალიან ხშირადაა გაზეთების პირველ გვერდებზე. ეს თუ მოქმედებს გუნდზე?**

— მთავარი ისაა, როგორ ვთამაშობთ და როგორ გვავარჯიშებს მწვრთნელი. ჩვენთვის მაურინიუ ახლაც ისეთივეა, როგორიც სამი წლის წინ იყო. ვიცით, რას ითხოვს ფეხბურთელებისგან და ვასრულებთ. ხოლო პირველ გვერდზე მისი ხშირად გამოჩენა პრობლემებს არ გვიქმნის. პირიქით, იგი თითქოს თავის თავზე იღებს დარტყმას და გუნდს იცავს.

**— როგორია მაურინიუს შეგირდობა?**

— ესაა კაცი, რომელიც რწმენას გინერგავს და თვითონაც გწამს მისი. ასეთი ურთიერთობის შედეგია, რომ ნებისმიერ მატჩში ყველა მოსაგებადაა მომართული.

**— „ჩელსის“ „მანჩესტერთან“ შეხვედრა მაისში ელის. როგორ ფიქრობთ, იმ დროისთვის ჩემპიონის ვინაობა უკვე გარკვეული იქნება?**

— მანამდე ექვსქულიანი სხვაობის შემცირება უნდა მოვახერხოთ და თუ „სტემფორდ ბრიჯზე“ მოვიგებთ, ყველაფერი ჩემპიონატის ბოლოს გაირკვევა. დარწმუნებული ვარ, ოქროს მოგება შეგვიძლია, თუმც, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული.

**— ჩემპიონთა ლიგის მოგება თუ შეგიძლიათ?**

— რატომაც არა?! ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს. ინგლისის ლიგის თასი უკვე ჯიბეში გვაქვს და ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ.

**— მეოთხედფინალისტებიდან ყველაზე მეტად რომელი გუნდის თამაში მოგწონთ?**

— ძნელი სათქმელია... წლეულს შანსები თითქმის თანაბარია და ვიმედოვნებ, იღბალი ჩვენ გაგვიღიმებს.

# დაგიმტვრევთ ძვლებს!





## ჯორჯ ბოატენგი: კრიშტიანუ რონალდუ მართლა დასამტვრევია!

**ინტერვიუც** ისეთი უნდა, ბელგიის ნაკრების მეკარე სტინ სტინენმა რომ მისცა — ბელგიელები ხვალ, ევროპის 2008 წლის შესარჩევში პორტუგალიელებს სტუმრობენ. მან კი თქვა:

„თამაში რომ დაიწყება, ორ წუთში კრიშტიანუ რონალდუს ისეთ დღეს დავაყრით, მოედნიდან საკაცით გახდება გასაყვანი. აბა, სხვა რა დაგვრჩენია?! პორტუგალიის ნაკრები ჩვენზე მაღალი დონის გუნდია და ხომ უნდა დავუპირისპიროთ რამე?!"

ბელგიელი გოლკიპერის ამ განათქვამს რამდენიმე დღით უსწრებდა რონალდუს კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის" სათასო მატჩი „მიდლსბროსთან", რომელიც სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა რონალდუს მიერ მონადირებული და გატანილი პენალტით მოიგო. მოგეხსენებათ, ამ პენალტმა ინგლისში დიდი ხმაური გამოიწვია — ემოციები ჯერაც არ განელებულა, ბევრი ამტკიცებს, რომ პორტუგალიელმა ფორვარდმა ყალბი წაქცევით მსაჯი მოატყუა, სხვა სიტყვებით კი, ითაღლითა.

მართლაც, რონალდუს დიდი გამოცდის პერიოდი უდგას — აქ საფეხბურთო ოსტატობაზე არაფერს ვამბობთ, ფეხბურთში რონალდუს გამოცდა აღარ სჭირდება — მის ნევულ მდგრადობაზე მოგახსენებთ.

სტინ სტინენის ინტერვიუმდე 24 საათით ადრე „მიდლსბროს" განაწყენებულმა ფეხბურთელმა ჯორჯ ბოატენგმა ასეთი რამ თქვა:

„ადრე თუ გვიან რონალდუს ვინმე მართლა მოსტეხს ფეხს. აბა, მის თაღლითობას ყველა ხომ ვერ მოითმენს?! აუცილებლად გამოჩნდება ისეთი ვინმე, თავს დამცირებულად რომ იგრძნობს და შურს იძიებს".

და ისევ სტინენი: „ჩვენ მტკიცე ხასიათს გამოვავლენთ და პორტუგალიელების წვივებზე არ ვიდარდებთ. რაიმეს უცნაურს ვამბობ? ჩვენ სტუმარი გუნდი ვართ და განა სწორედ ასე არ უნდა მოვიქცეთ?! სულაც არ ვამტკიცებ, რომ ბელგიელებმა ვინმეს ფეხი უნდა მოვტეხოთ, მაგრამ მდგომარეობა გვავალდებულებს, აგრესიულები ვიყოთ და ვიქნებით კიდეც".

ბოლოს კი ორიოდ სიტყვით სტინ სტინენის შესახებ. ის იტალიური წარმოშობის ბელგიელია, 1981 წელს დაბადებული. თავიდან მშობლიური ქალაქის „ჰასელტში" გამოდიოდა, 2000 წელს კი „ბრიუგეში" გადავიდა და ჯერ დენი ვერლინდენის დუბლიორი იყო, ვერლინდენის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ კი ტომისლავ ბუტინასი.

„ბრიუგეს" დიდ გუნდში დებიუტმა 2003 წელს „გენკთან" უწია, ოღონდ თამაში მეტოქის სასარგებლოდ, 0:3 დამთავრდა. 2005-06 წლების სეზონში კი სტინენს უფრო ხშირად მოუწია ბუტინას შეცვლას — „ბრიუგეს" კარს იგი თვით „იუვენტუსის" თავდამსხმელებისგან იცავდა ჩემპიონთა ლიგის მატჩში.

2006 წლიდან სტინენს ბელგიის ნაკრებშიც იწვევენ...

**ბაკუნა ძიდია**

## რუსებს საბჭოთა კავშირის დროშებს თავზე დაახევენ



**ხვალ** ტალინში ესტონეთი რუსეთს უმასპინძლებს ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში.

გუს ჰიდინკს უკვე ხუთი ფეხბურთელი გამოაკლდა: ტრავმირებულები არიან ძმები ბერეზუცკები, დენის კოლოდინი და იგორ სემშოვი, რომელსაც სიცხემ აუწია და შინ გაუშვეს. ეგორ ტიტოვი კი სამშობიაროშია — ცოლს ადგას თავზე. მან მწვრთნელსა და გულშემატკივრებს მოუბოდიშა, ჩემთვის მთავარი ოჯახიაო. სემშოვის ვერსიით კი, ტიტოვი ჰიდინკზეა დაბოღმილი.

„რამდენადაც ვიცი, თებერვალში ჰოლანდიასთან ამხანაგურ მატჩში 1:4 მარცხის გამო მუდამ მშვიდი ჰიდინკი გასახდელში გაცოფებულა. ყველა ფეხბურთელს უსაყვედურა და სხვებზე მეტი ტიტოვს მოხვდა. ტიტოვმა გუნდს უღალატა, ასე თამაში არ შეიძლებაო, უთქვამს ჰოლანდიელს. მართალია, ამ ამბის შემდეგ ეგორს ჰიდინკზე ცუდი არაფერი დასცდენია, მაგრამ ეტყობა, ნაწყენია. არადა, მწვრთნელი მართალი იყო. ასეთი წაგების მერე ნებისმიერი გაბრაზდებოდა."

ჰიდინკმა კი თქვა, რომ ტიტოვი გუნდს სჭირდება და გადამწყვეტ მატჩებში მისი ეიმედება.

ტალინში ჩამსვლელ რუს გულშემატკივრებს კი მოსკოვში ესტონეთის საელჩო აფრთხილებს, რომ ისინი ევროკავშირის ტერიტორიაზე იქნებიან და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში ევროკავშირის ქვეყნებში შესვლას აუკრძალავენ. გარდა ამისა, მათ ეკრძალებათ არარსებული სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის) დროშების გამოფენა ტრიბუნებზე. ასეთ სტუმრებს სტადიონიდან გააძევებენ.

## უეფამ 5 აპრილი დატოვა

**უეფამ** უარი უთხრა „სევილიას" „ტოტენჰემთან" 5 აპრილის მატჩის გადატანაზე. ქალაქ სევილიის მთავრობამ [illegible] ოფიციალური ცნობით მიმართა ევროპული ფეხბურთის [illegible] ხვის კვირაში ევებ არ გვათამაშოთ და მატჩი გადავიტანოთო.

ეს გუნდები ერთმანეთს უეფას თასის მეოთხედფინალში ხვდებიან.

## კლოზეს ჯამაგირი გაორმაგდება

**ბრემენის** „ვერდერი" მიროსლავ კლოზესთან კონტრაქტის გახანგრძლივებას და მისთვის ჯამაგირის მომატებას აპირებს. ნაკრების ფორვარდს კლუბთან ამჟამინდელი ხელშეკრულების ვადა 2008 წელს ეწურება, „ვერდერი" კი მას ახალ, სამწლიან გარიგებას სთავაზობს.

კლოზე ახლა წელიწადში 2 მილიონ 800 ათას ევროს იღებს, გაუმჯობესებული კონტრაქტით კი 4 მილიონ 200 ათას ევროს გადაუხდიან.

„დარწმუნებული ვარ, მირო დარჩება" — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა.

## გუდიონსენი ლარსონს დასდევს

**„ბარსელონას"** ფორვარდი ეიდურ გუდიონსენი, შესაძლოა, ამ ზაფხულს „მანჩესტერში" გადავიდეს — წერს „სანი". ისლანდიელი ფეხბურთელი ალექს ფერგიუსონს ჰენრიკ ლარსონის შემცვლელად უნდა, რომელიც „ჰელსინგბორში" დაბრუნდა.

თავის მხრივ, „ბარსელონამ" გუდიონსენი შარშან სწორედ ლარსონის წასვლის შემდეგ იყიდა. ისლანდიელი „ბარსაში" კვირაში 70 ათას გირვანქას იღებს. მისი შეძენა კი მანჩესტერელებს დაახლოებით 8 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

## ესენიღა აკლდნენ

**გამორიცხული** არ არის, ტურინის „იუვენტუსის" სამი ფეხბურთელი ინგლისურ „ბოლტონში" აღმოჩნდეს. სეზონის ბოლოს „იუვე" რობერტ კოვაჩს, ფაბრიციო მიკოლის (განათხოვრებულია „ბენფიკაში") და მარსელო ზალაიეტას გაუშვებს.

„დეილი მეილის" ცნობით, მათი შეძენის სურვილი „ბოლტონმა" გამოთქვა, რომელსაც ისედაც ათასი ჯურის ფეხბურთელი ჰყავს...

## შორს საროსკიპოსგან

**ისრაელის** ნაკრების მწვრთნელმა დიორ კაშტანმა სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, გუნდი თელ ავივიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დააბანაკა.

ერთი წლის წინ დანიასთან ამხანაგური მატჩის წინ ნაკრების ფეხბურთელებმა მთელი ღამე საროსკიპოში გაატარეს. ეს ამბავი გასკდა და დიდი სკანდალიც ატყდა.

იგივე მოხდა 1999-შიც: მაშინ ევრო 2000-ის შესარჩევში ისრაელი „ვიკინგებთან" 0:5 დამარცხდა.

## კასიოს არ სჯერა

**ბრაზილიის** ნაკრებში დებიუტანტია — კარლოს დუნგამ ამხანაგური მატჩებისთვის 19 წლის მეკარე კასიო გამოიძახა. „პენტაკამპეონები" გოტებორგში ჩილეს ეთამაშებიან, ოთხი დღის შემდეგ კი სტოკჰოლმში განას.

კასიო „გრემიოს" სათადარიგო გოლკიპერია. მან იანვარში სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატში კარგად ითამაშა და ამით დაიმსახურა დუნგას ყურადღება. იგი „პორტუს" მეკარე ელტონს შეცვლის, რომელიც ტრავმირებულია.

„დაუჯერებელია — ხარობდა კასიო — სანამ ნაკრების ფეხბურთელებს და მწვრთნელს ახლოდან არ ვნახავ, არ მჯერა, რომ გამოძახებული ვარ".

## ნავაროს ნაკრებიც აუკრძალეს

**უეფას** მიერ საკლუბო ფეხბურთიდან შვიდი თვით მოკვეთილი დავიდ ნავარო ფიფამაც დასაჯა და ნაკრებში თამაში აუკრძალა. ასე რომ, „ვალენსიას" მოჩხუბარი მოთამაშე მხოლოდ ვარჯიშებზეღა გაერთობა ბურთით.

## ფული და ცოცხალი

**„ტუტოსპორტი"** ამტკიცებს, რომ „ბარსელონა" „რომადან" დანიელე დე როსის გადაბირებას ცდილობს. რომაელებმა იტალიის ნაკრების ნახევარმცველი 25 მილიონ ევროდ შეაფასეს.

თანხის ნაწილის გადახდას „ბარსა" „ცოცხალით" აპირებს — ედმილსონს და ტიაგო მოტას თმობს.

## ესპანეთის თასის წყვილები

**ესპანეთის** თასის ნახევარფინალის წილისყრა გუშინ შედგა. „ბარსელონა" ბერნდ შუსტერის „ხეტაფეს" შეხვდა, „დეპორტივო" — „სევილიას".

პირველი მატჩები 18 აპრილს გაიმართება, საპასუხოები — 9 მაისს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### მექსიკა

კლაუსურა. XII ტური

გვადალახარა — მორელია 2:1; პაჩუკა — სან ლუისი 3:0; კრუზ ასული — ტიგრესი 3:0

ეროვნული ბიბლიოთეკა



გრიტი სარა სილვია კარო













# ესაა მონა და ესაა პოვარი?!

## ბუნდესსტართა ქალები ყველაზე და ყველაფერზე

მილიონობით ქალს შურს ბუნდესლიგის ვარსკვლავების ცოლებისა — პოპულარობა, ფული, მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა, სიყვარული... მეტი რა უნდა უნდოდეს ქალს? გერმანული „ბილდი“ ბუნდესლიგის ოთხი ვარსკვლავის მომხიბლავ მეუღლეებს შეხვდა და ფულზე, სარეცხ მანქანებსა და სხვა ინტიმურ თემებზე ესაუბრა.

მაშ ასე, ამ სახალისო ინტერვიუს რესპონდენტები არიან: ბრემენის „ვერდერის“ მეკარე ტიმ ვიზეს 24 წლის მეუღლე გრიტი, ფრანკფურტის „აინტრახტის“ კაპიტან ჯერმენ ჯონსის 28 წლის მეუღლე სარა, „ჰამბურგის“ ჰოლანდიელ ლიდერ რაფაელ ვან დერ ვაარტის 28 წლის მეუღლე სილვია და მიუნხენის „ბაიერნის“ ფრანგ მცველ ვალერიან ისმაელის 27 წლის მეუღლე კარო...

— თქვენი აზრით, ფეხბურთელები განსაკუთრებულად სექსუალურები არიან?

**სარა** ჯონსი: ვფიქრობ, მართლაც სექსუალურია, როცა ჩემი ქმარი ჩემ თვალწინ თავდაუზოგავად იბრძვის. ფეხბურთელები თანამედროვე გლადიატორები არიან. როცა მამაკაცი ძლიერია და იბრძვის, რა თქმა უნდა, სექსუალურია.

**სილვია** ვან დერ ვაარტი: მოკლედ ვიტყვი: მე მიყვარს რაფა იმიტომ, რომ ის რაფაა! სხვა ფეხბურთელებისკენ კი ნამდვილად არ ვიყურები.

**ბრიტ** ვიზე: სპორტული სხეული მიმზიდველი კია, მაგრამ ფეხბურთელები თავიანთ გაოფლილ მაისურებსა და აყროლებულ ტრუსებში? არა, არა, გმადლობთ.

— როგორ ფიქრობთ, თამაშის წინ სექსი არ შეიძლება?

**სარა** ჯონსი: არ ვთვლი, რომ ჩვენი ინტიმური ცხოვრება ჯერმენის სპორტულ საქმიანობაზე გავლენას ახდენს. და თუ მაინც უნდა გიპასუხოთ, მაშინ მიმაჩნია, რომ ეს პირიქით, სასარგებლოა.

— და თამაშის შემდეგ?

**სარა** ჯონსი: როცა ის სახლში მოდის, ძალიან დაღლილი და ძალაგამოლეულია და არაფრის თავი არა აქვს. ჯერმენი ბოლოს სამი ნაკაწრით და ჩალურჯებული თვალითაც კი დაბრუნდა...

— გულწრფელად მითხარით, თამაშის წინ თქვენი მეუღლეების გუნდების სასტუმროში მალულად არასოდეს ყოფილხართ?

**სარა** ჯონსი: არა, იქ ჯერმენს სიმშვიდე სჭირდება.

**ბრიტ** ვიზე: მე არა, მაგრამ არიან ქალები, რომლებიც სასტუმროში დადიან...

**სარა** ჯონსი: თავიანთთან თუ უცხო კაცებთან?

**ბრიტ** ვიზე: თავიანთთან, როგორც მე ვიცი...

**სარა** ჯონსი: კი მაგრამ, ფეხბურთელებს ხომ ორადგილიან ოთახებში სძინავთ?!

**ბრიტ** ვიზე: გამოდის, ქალები სხვა ოთახს იღებენ... ეს ხშირად გამიგია...

— მეუღლეთა თაყვანისმცემლებისგან პრობლემები ხომ არ გაქვთ?

**კარო** ისმაელი: მხოლოდ მაშინ, თუ ჩემი ქმრის შებმას ეცდებიან...

**სილვია** ვან დერ ვაარტი: ჩემსა და რაფისთან კარგი ისაა, რომ თითქმის ყველამ იცის, დაქორწინებულნი რომ ვართ და გარკვეულწილად ეს მშველის! მაგრამ ვიცი, რომ ბევრი ფეხბურთელის სიტუაცია ასეთივე ცხადი არაა...

**ბრიტ** ვიზე: ფლირტის მოყვარულ გოგონებს თავიდანვე შევეჩვიე. თქვენ წარმოიდგინეთ, ღამით კარზეც კი გვიკაკუნებენ, მაგრამ ტიმმა იცის ოჯახის ფასი. ასე რომ არ იყოს, მაშინ...

— აპატიებთ მეუღლეებს სხვისკენ გახედვას?

ყველანი ერთხმად: არა!

**სარა** ჯონსი: თუ ეს მოხდება, ჯერმენი მაშინვე წითელ ბარათს მიიღებს. ბევრი მსგავსი ისტორია გამიგია, მაგრამ ჩვენ მათ არ ვეკუთვნით.

**ბრიტ** ვიზე: ამ მხრივ ჩვენთანაც ყველაფერი გარკვეულია — თუ ტიმი სხვას აირჩევს, მაშინ მე აღარ ვეყოლები.

— როგორი დამოუკიდებელნი არიან ფეხბურთის ვარსკვლავები?

**სარა** ჯონსი: ჰო, მართლაც...

**ბრიტ** ვიზე: როცა ზამთარში დასასვენებლად წასვლა გადავწყვიტეთ, მხოლოდ მე მიწევდა ყველაფერზე ზრუნვა. ტიმს ეგონა, ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა, ჩემოდნებს სხვა გამოიტანდა, არც სასაზღვრო დაცვასთან იყო მისვლა საჭირო და ასე შემდეგ. რატომ ფიქრობს ასე? იმიტომ, რომ კლუბში ეს არ სჭირდება — ყველაფერს სხვა აკეთებს...

— და სახლში? ვინ ალაგებს ჩემოდნებს?

**სარა** ჯონსი: საფეხბურთო ნივთებს ჯერმენი თვითონ ალაგებს, დანარჩენს კი მე.

**ბრიტ** ვიზე: ეს კომფორტი ნამდვილად არ მაქვს. ფეხბურთი სხვა საქმეა, მაგრამ როცა სახლშია, ვერც საყიდლებზე გაუშვებ და მტვერსასრუტის აღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როცა დასასვენებლად ვიყავი, დამირეკა და მკითხა, სარეცხი მანქანა როგორ უნდა ჩავრთოო. ვფიქრობ, ეს არა მხოლოდ ფეხბურთელების, არამედ ყველა კაცის პრობლემაა.

**კარო** ისმაელი: უპრობლემოდ შემიძლია, ვალე მარტო დავტოვო შინ და არც ვინერვიულო. მას თავის მოვლა და საჭმლის მომზადებაც შეუძლია, განსაკუთრებით გემრიელი გამოსდის შემწვარი კვერცხი.

— და, როგორც ნამდვილ ფრანგს შეეფერება, კარგი წითელი ღვინოც, არა?

**კარო** ისმაელი: დიახ, მას უყვარს და თან აგროვებს წითელ ღვინოებს, განსაკუთრებით „ბორდოს“.

**სარა** ჯონსი: ჯერმენი კი მობილურებს და მზის სათვალეებს აგროვებს.

— როგორ ფიქრობთ, ფეხბურთის ვარსკვლავები საჭიროზე მეტ თანხას გამოიმუშავებენ?

**ბრიტ** ვიზე: ზოგი ამას ალბათ სიამოვნებით ვერ წაიკითხავს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ეს მართლაც ასეა.

**სარა** ჯონსი: ჯერმენიც და მეც ვფიქრობთ, რომ ყოველი ცენტი დამსახურებულია. ის ძალიან ბევრს მუშაობს და ყოველ წუთს შეიძლება ისე დაშავდეს, რომ მისი კარიერა დასრულდეს.

**ბრიტ** ვიზე: თუ ეგრე ვიმსჯელებთ, მშენებლობის მუშაც შეიძლება ისე დაშავდეს რომ... ამ დროს კი იგი ყოველდღე 8 საათს მუშაობს თვეში 1800 ევროს გამო...

**სარა** ჯონსი: ვფიქრობ, როცა რისკი არსებობს, სათანადო ანაზღაურებაც უნდა იყოს.

**ბრიტ** ვიზე: კი მაგრამ... როცა ტიმი დილით ადგება და ბავშვს ეტყვის, დღეს გარეთ ნული გრადუსია, მაგრამ მამა ამ სიცივეში იძულებულია, სამუშაოდ წავიდესო, იგი ჩემს თანაგრძნობას ნამდვილად მიიღებს. მაგრამ აი, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობენ, იქ ბევრი მუშაა, რომლებიც ყოველდღიურად რვა საათი დგანან სიცივეში, შემდეგ კი საუნაში თუ ჯაკუზში ნებივრობის უფლებასაც კი ველარ აძლევენ თავს... ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელის პროფესიას არ ვაფასებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ არც ამ თანხად ღირს.

გაგრძელება ხვალინდელ „სარბიელში“

# ფრანკ რიბერის ახალი სერია




**დიდი** შანსია, საფრანგეთის ნაკრებისა და „მარსელის" ვარსკვლავი ფრანკ რიბერი მომავალ სეზონში სერია A-ში ვიხილოთ — 23 წლის ნახევარმცველმა, რომელსაც ზინედინ ზიდანის მემკვიდრედ მოიხსენიებენ, რომელიმე იტალიურ კლუბში გადასვლის სურვილი გამოთქვა.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალე თამაშის შემდეგ, რიბერის შეძენის სურვილი მრავალმა კლუბმა გამოთქვა. მათ შორის, „მონაკომ" „არსენალმა", „რეალმა", „ბაიერნმა", „მილანმა"— თუმცა „მარსელმა" მისი შენარჩუნება შეძლო, ერთი სეზონით მაინც.

რიბერის კლუბთან 2010 წლამდე აქვს კონტრაქტი — მისი ფასი დაახლოებით 21 მილიონი ევროა.

„სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობას დაველაპარაკები და ვეტყვი, რომ უცხოურ გუნდში მინდა გადასვლა. რა თქმა უნდა, სერია A ჩემთვის ყველაზე სასურველია" — განაცხადა რიბერიმ.

ამბობენ, რიბერი „მარსელის" პრეზიდენტ პაპე დიუფს ამ საკითხზე უკვე ელაპარაკა და ყველაფერი შეათანხმაო.

გავიხსენოთ, დიუფის ადრინდელი ნათქვამიც — რიბერისთვის სერია A ზედგამოჭრილია, იქ იგი ბოლომდე შეძლებს შესაძლებლობების გამოვლენასო.

რიბერის ერთ-ერთ მთავარ მსურველად ტურინის „იუვენტუსი" სახელდება. ტურინელთა ფრანგ თავკაც დიდიე დეშანს ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი ძალიან მოსწონს.

რიბერის იტალიაში გადასვლას, შესაძლოა, ერთმა რამემ გვარიანად შეუშალოს ხელი — ალბათ მოგეხსენებათ, რომ „მარსელის" ყიდვა ბიზნესმენ ჟაკ კაჩკარს სურს და თუ მან ეს შეძლო, სავარაუდოდ, ვარსკლავის შენარჩუნებასაც შეეცდება.

**კოკი კანდელაკი**

# ან არათითს დაკარგავ, ან ევროპის ჩემპიონატს




**ახალგაზრდა** იტალიელი ფორვარდი ნიკოლა პოცი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგას — „ემპოლის" ფეხბურთელმა წინა უქმეებზე „ლაციოსთან" წაგებული მატჩისას მარჯვენა ხელის არათითი დაიშავა და საოპერაციოა.

საქმე ისა, რომ თუ იგი ოპერაციას გაიკეთებს, ექვსი კვირით უქმობა მოუწევს და დიდი შანსია, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გამოტოვოს, რომელიც 10-23 ივნისს ჰოლანდიაში გაიმართება.

პირველუიკვი კავშირავი ალბათ უქმად მყოფ ფეხბურთელს აღარ უხმობს „აძურინიში", ხოლო თუ 20 წლის ფორვარდი ოპერაციას არ გაიკეთებს, ითამაშებს, მაგრამ თითს დაკარგავს.

„არ ვიცი, რა გავაკეთო. მშობლებსაც ველაპარაკე, მაგრამ მესმის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება თავად უნდა მივიღო. რაც უნდა ვარჩიო, ეს ჩემს ცხოვრებას რადიკალურად ახლავე არ შეცვლის, მაგრამ შესაძლოა, დიდი გავლენა იქონიოს ჩემს კარიერაზე" — აღნიშნა პოციმ.

** კოკი კანდელაკი**

# კანს და ლუსიოს მატჩი და ფული გაუნაწილეს

**უეფამ** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 16 ათას 500 დოლარი ჯარიმა გამოუწერა მიუნხენის „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანს, რომელმაც „რეალთან" მერვედფინალური მატჩის შემდეგ დოპინგ-ტესტის გავლისას იხულიგნა.

კანთან ერთად ამ შარში ბრაზილიელი ლუსიოც გაეხვა, რომელსაც უეფამ ფულადი ჯარიმა (6 200 დოლარი) აკმარა.

„ბაიერნს" განაჩენის გასაჩივრება სამი დღის განმავლობაში შეუძლია.

# ღამურებმა რეალს ალექსისი მოჰპარეს

**„ვალენსიამ"** მადრიდის „რეალს" დაასწრო და „ხეტაფეს" ალექსისი იყიდა — წარმოშობით ანდალუზიელი მცველი „მესტალიაზე" მომავალი ექვსი სეზონის განმავლობაში ითამაშებს.

„ღამურებმა" 22 წლის ალექსის რუანო დელგადოსთან კონტრაქტი ოთხშაბათს ღამით გააფორმეს და ეს 2007-08 წლების კამპანიისთვის „ვალენსიას" პირველი ტრანსფერია.

„ღამურები" მადრიდელებს მის სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს და სათადარიგო ფეხბურთელებს, მიგელ ჰალიარდოს და პაბლო ერნანდესს მისცემენ.

ალექსისით, როგორც მოგახსენეთ, „რეალიც" იყო დაინტერესებული. სამეფო გუნდის სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა ფეხბურთელს და „ხეტაფეს" უფროსობას სთხოვა, მცირე ხნით მაცალეთ, ალექსის ყიდვას ნამდვილად ვაპირებთ, თუმცა ჯერ რაღაც შიდა პრობლემები უნდა გადაწყვიტოთ და საქმეს მერე მივხედავთო.

მიატოვიჩის სამწუხაროდ, „ხეტაფე" მოუთმენელი გამოდგა და ფეხბურთელი ვალენსიაში გაასხვისა — „ღამურათა" აგენტებმა „ალფონსო პერესის" გუნდის პრეზიდენტ ანხელ ტორესთანაც გაჩარხეს ხელშეკრულება და ალექსისის წარმომადგენელ მანუელ გარსია კილონთანაც.

ალექსისს ესპანური მედია „მესტალიას" დაცვის ბურჯობას უწინასწარმეტყველებს.

ამ დაცვას კიდევ ერთი ცენტრალური უკანახაზელი დასჭირდება. როგორც ამბობენ, „ინტერთან" ნაჩხუბარი დავიდ ნავარო ზაფხულში სხვა კლუბში მიდის და კიკე ფლორესს კიდევ ერთი ფეხბურთელის ყიდვა მოუწევს — ვარაუდობენ, რომ ვალენსიელთა სპორტული დირექტორი ამადეო კარბონი ანდრადეს, კივუს ან გაბი მილიტოს შეიძენს.

ახლა იმათზეც ვთქვათ, ალექსისის მსგავსად თავიანთი ბედის დაკავშირება „ვალენსიასთან" რომ გადაუწყვეტიათ: გაისად კიკეს კლუბში გერმანული „შტუტგარტის" მეკარე ტიმო ჰილდებრანდი და ნიგერიელი ნახევარმცველი სტივენ სანდეი ითამაშებენ. ეს აფრიკელი 19 წლისაა, სეგუნდადივიზიონის „პოლი ეხიდოში" ბურთაობს და „ვალენსიაში" სამ მილიონ ევროდ გადავა.

**ლადო ხომერიკი**

# ბორიელო მორჩა

**იტალიური** „მილანის" ახალგაზრდა ფორვარდი მარკო ბორიელო შარშან 11 ნოემბერს „რომასთან" მატჩის შემდეგ დოპინგ-ტესტზე ჩავარდა. მას დისკვალიფიკაციის ვადა 21 მარტს გაუვიდა და პრესასაც გული გაუღო...

„იანვარში კლუბმა ჩემპიონთა ლიგის განაცხადიდან ამომშალა, რაც ძალიან მეწყინა. იმედი მაქვს, მწვრთნელი გულისხმიერებას გამოიჩენს და სერია A-ში მაინც მომცემს თამაშის საშუალებას — თქვა ბორიელომ — ჩემს მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში ხალხი დედაჩემთან მლანძღავდა. ეს ძალიან მძიმე პერიოდი იყო".

**კოკი კანდელაკი**

## ბეარზოტი ტოტის: სირცხვილია!

**მსოფლიოს** ჩემპიონმა მწვრთნელმა ენცო ბეარზოტიმ ფრანჩესკო ტოტის საქციელი არ მოუწონა.

„ძალიან უცნაურად იქცევა — თქვა ბეარზოტიმ „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში — ეს ხომ ალოგიკურია. თუ „რომაში" შეუძლია თამაში, ნაკრებშიც მოახერხებს. სამარცხვინოა, რადგან იტალიის ნაკრების მაისურის ჩაცმა უნდა ეამაყებოდეს. ტოტი საუკეთესო იტალიელი და ჩვენი ფეხბურთის სიმბოლოა. სხვა საქმე იქნებოდა, რომ ეთქვა, სანაკრებო კარიერის დასრულებას ვაპირებო. ყველას გაურკვევლობაში ტოვებს და ეს ცუდი პრეცედენტია. გამორიცხული არაა, მას სხვებმაც მიჰბაძონ."

## ვინ შეიყვარებს მატერაცის?

**მარკო მატერაცის** სულაც არ აღელვებს, რომ ხშირად ყველაზე საძულველ ფეხბურთელად მოიხსენიებენ.

„სანამ ვიგებ, არ მადარდებს ჩემზე რას ამბობენ. „ინტერი" აღარ უყვართ? ესეც ვიცი. მე არასოდეს ვუყვარდი, არ ვუყვარვარ და არც შემიყვარებენ, მაგრამ მაინც გამარჯვებული ვიქნები. ხშირად ამბობენ, რომ შარშანდელი სკუდეტო, ჩვენ რომ გადმოგვცეს, დაუმსახურებელია, მაგრამ ახლა თითქმის განაღდებული გვაქვს ჩემპიონობა" — ბრძანა მატერაციმ.

## სუაზოს ოჯახური

**„კალიარის"** ჰონდურასელი ფორვარდით დავიდ სუაზოთი „რომა" დაინტერესდა. სუაზოს „სევილია" ეპატიჟებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა ოჯახური მიზეზების გამო ესპანეთში გადასვლა იუარა და ახლა „რომას" ვარიანტი გამოუჩნდა. ჰონდურასელი დაახლოებით 12 მილიონი ევრო ღირს.

თუ ეს ტრანსფერი გამოვა, რომაელებს „ვალენსიადან" ნათხოვარი ფრანჩესკო ტავანოს გამოსყიდვა აღარ დასჭირდებათ.

## ელმანდერს ორი ელის

**„ტორინო"** და „ლაციო" შვედი თავდამსხმელის, იოჰან ელმანდერის ყიდვას ცდილობენ, რომელიც „ტულუზში" თამაშობს. ადრე შვედით „ბარსელონა" და „ლიონიც" იყვნენ დაინტერესებულნი.

გარდა ამისა, „ტორინოს" „ინტერის" ურუგვაელი ალვარო რეკობაც უნდა, „ლაციოს" კი ესპანეთში მოთამაშე იტალიელები — ვალენსიელი ემილიანო მორეტი და სევილიელი ენცო მარესკა.

## ძოლას მსგავსი

**22 წლის** ალესანდრო როზინა ევროპული ბობოლა კლუბების სამიზნედ იქცა. „ტორინოს" ფორვარდი ამ სეზონის სერია A-ს აღმოჩენაა და ჯანფრანკო ძოლას ადარებენ. როზინა იტალიის ნაკრების კანდიდატიცაა და მისით „ჩელსი", „არსენალი", „ბარსელონა" და „ფიორენტინა" დაინტერესდნენ.

**მაჟა ხუციშვილი**

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

### I ჯგუფი. IV ტური

**ბანფილდი (არგენტინა) 3:1 ამერიკა (მექსიკა)**

1:0, 2:0 ლუხამბიო (25, 40), 3:0 ცვიტანიჩი (72), 3:1 ს. კაბანასი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერტადი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ამერიკა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 6 |
| ბანფილდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| ელ ნასიონალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

### II ჯგუფი. III ტური

**ნეკაქსა (მექსიკა) 2:1 სან პაულუ (ბრაზილია)**

0:1 დუშ სანტუში (40), 1:1 კ. პერეირა (62), 2:1 სალგეირო (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნეკაქსა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| სან პაულუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| აუდაქს იტალიანო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ალიანსა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

### V ჯგუფი. IV ტური

**ფლამენგო (ბრაზილია) 1:0 პარანა (ბრაზილია)**

1:0 რ. დე სოუზა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლამენგო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| პარანა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| რეალ პოტოსი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| მარაკაიბო | 4 | 0 | 2 | 2 | 6:10 | 2 |



# VIVA BERNARDO: სამეფო გერმანელს!

**მადრიდის** „რეალმა“ ბერნდ შუსტერი აირჩია. როგორც ესპანური „ასი“ გვამცნობს, სამეფო გუნდის პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა „ხეტაფეს“ გერმანელ დამრიგებელთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია და მომავალ სეზონში „რეალს“ 47 წლის შუსტერი უხელმძღვანელებს.

კასტილიელთა დღევანდელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო 2007 წლის 30 ივნისს დატოვებს „სანტიაგო ბერნაბეუს“ — „რეალმა“ წლეულს პრიმერას ყველა დარჩენილი მატჩი რომც მოიგოს და ესპანეთის ჩემპიონობა იზეიმოს, იტალიელს მაინც წასვლა მოუწევს. კალდერონმა კლუბში შუსტერის მიყვანა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა — სენიორ კალდერონის კაბინეტში შუსტერმა და პრეზიდენტმა მოწმეთა გარეშე ისაუბრეს და ხელი ხელს დაჰკრეს.

„ხეტაფე“ კი „რეალისგან“ მილიონ ევროს მიიღებს.

გერმანელს „სანტიაგო ბერნაბეუზე“, როგორც სასწაულმოქმედს, ისე ელიან. დირექტორატის წევრთა უმრავლესობაც შუსტერის მომხრეა და გულშემატკივრებსაც ერთი სული აქვთ, როდის დაიკავებს დონ ფაბიოს ადგილს მათი საყვარელი „ბერნარდო“.

„ასის“ გამოკითხვით, მადრიდელ ინჩასთა 40 პროცენტზე მეტმა სხვა რეალურ კანდიდატებს — ჟოზე მაურინიუს, რაფაელ ბენიტესს, ვისენტე დელ ბოსკეს და მიჩელს სწორედ შუსტერი ამჯობინა.

ბერნდმაც „რეალთან“ შეთანხმებამდე ისეთ გრანდებთან თანამშრომლობაზე თქვა უარი, როგორებიც „ბოკა ხუნიორსი“, მიუნხენის „ბაიერნი“, „ბარსელონა“ და „ვალენსია“ არიან.

ამ გუნდებმა მშვენივრად იცოდნენ, ამბიციური გენიოსი „ხეტაფეში“ რომ არ გაჩერდებოდა და შუსტერზე გაფთრებული სატრანსფერო იერიშები მიიტანეს... თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ქერა მწვრთნელის მიზანი სამეფო თეთრების დამრიგებლობა იყო.

აბა, სად წავიდოდა მადრიდზე შეყვარებული გერმანელი, რომელმაც ორიოდე დღის წინ ესპანეთის სატახტოში სახლი იყიდა?

მაურინიუს და ბენიტესის ვარიანტები კი საბოლოოდ ჩაიშალა. მით უმეტეს, „რეალზე“ ჯერ კიდევ განაწყენებული დელ ბოსკესი, რომელიც ადრე გუნდიდან გაგდებისთვის ისევ ბოდიშს ითხოვს. ერთმა ღმერთმა იცის, რა უტრიალებს თავში ექსცენტრულ და იდუმალ მაურინიუს, ხოლო ლივერპულმა ბენიტესმა მადრიდელებს განუცხადა, „რეალის“ მწვრთნელობაზე თანახმა ვარ, ოღონდ სრული ძალაუფლება უნდა მომცეთო...

თქვენი აზრით, ეს კალდერონს მოეწონებოდა? არავითარ შემთხვევაში!

ჰოდა, VIVA BERNARDO!

**ლადო ხომერიკი**

# რაიკარდს ფულით ვერ იყიდი



„**ბარსელონას**“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა უკვე შეატყობინა „ჩელსის“ და „მილანს“, რომ სამომავლოსეზონოდ „კამპ ნოუდან“ ფეხის მოცვლას არ აპირებს და შეუძლიათ, მასთან გარიგებაზე ფიქრით გონება აღარ დაიმძიმონ.

დამძიმებით თავად რაიკარდის მაგიდა „დამძიმდა“ — ლონდონელებმა და იტალიელებმა ზედ იმდენი ფული დაახვავეს, წესით, ჰოლანდიელს ყოყმანი უნდა დაეწყო. არაფერი ამგვარი.

„ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩემი მიზანი „ბარსაში“ დარჩენაა. მე ხუან ლაპორტას პროექტის ერთგული ვარ“ — განაცხადა ფრანკმა.

კატალონიური „სპორტი“ წერს, რომ ჰოლანდიელს რამდენიმე ხნის წინ მეგობრებისთვის უთქვამს, რომან აბრამოვიჩმა და სილვიო ბერლუსკონიმ ოქროს მთებიც რომ შემომთავაზონ, მაინც „ბარსაში“ დავრჩები — საქმის შუა გზაზე მიტოვება არასწორი საქციელი იქნებაო.

მოკლედ, „ბარსას“ ინჩადას შეუძლია, მშვიდად იყოს, რაც უნდა მოხდეს, რაიკარდი კლუბიდან წამსვლელი არ არისო, წერს „სპორტი“.

**ლადო ხომერიკი**

# დაგხოცავთ ყველას!

## სებასტიან ტაბორდამ ჟურნალისტი დაალილავა



„**დეპორტივოს**“ ურუგვაელი ფორვარდი სებასტიან ტაბორდა ვარჯიშის დროს იქაურ ჟურნალისტ არმანდო პალეიროს თავს დაესხა და ისე მიბეგვა, რომ პალეირო თავის ტრავმით და გახეთქილი ტუჩით საავადმყოფოში გააქანეს.

„ტაბორდა მე და ჩემს კოლეგებს სიკვდილით დაგვემუქრა“ — თქვა ნაცემმა, ხოლო ურუგვაელი ყველაფერს უარყოფს, ჩვენ მხოლოდ მწარე სიტყვები გავცვალეთო.

**ვაჟა ხუციშვილი**


# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 2 | ბორნმუთი-ტრანმერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 3 | ბრედფორდი-ბლეკპული | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 4 | ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 19:00 | 5 | კარლაილი-ჯილინგემი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 6 | ქრიუ-როტერჰემი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 7 | დონკასტერი-ბრისტოლი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 8 | ლეიტონი-სვანსი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 9 | ნოტინგემი-ჩელტენჰემი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 10 | პორტ ვეილი-მილუოლი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 11 | სკანთორპი-ნორთჰემპტონი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 19:00 | 12 | იოვილი-ჩესტერფილდი | 1.55 | 3.40 | 5.65 | 1.06 | 1.21 | 2.12 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 13 | ბრენტფორდი-ოლდემი | 2.95 | 3.20 | 2.10 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 15 | მენსფილდი-მაკლსფილდი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 23:45 | 16 | უიკომბი-ბოსტონი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 17 | აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 18 | როვერსი-რექსემი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 19:00 | 19 | ბერი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 19:00 | 20 | ჩესტერი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 21 | გრიმსბი-პეტერბორო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 22 | შრუსბერი-ტორკი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 23 | სტოკპორტი-როჩდეილი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 24 | დარლინგტონი-ჰარტლპული | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 17:30 | 25 | ლინკოლნი-სუინდონი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 20:00 | 26 | დონსი-უოლსოლი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | ინგლისი. კონფერენცია | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 32 | გრეივსენდი-ალდერშოტი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 23:45 | 33 | რაშდენი -ქროული | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 34 | უოკინგი-ხალიფაქსი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 35 | ექსეტერი-იორკი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 36 | სტ.ოლბანსი-გრეისი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 19:00 | 37 | სტივენიჯი-ალტრინჩემი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 17:00 | 38 | ვეიმუთი-ტამუორთი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 19:00 | 39 | ბარტონი-მორკემბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 41 | სტ.ალბანსი-კიდერმინსტერი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 40 | ნორთვიჩი-კემბრიჯი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | 26 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 42 | ოქსფორდი-დაგ. ენდ რედი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 43 | ქუინი-კლაიდი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 457 | პარტიკი-ეირდრი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 19:00 | 458 | სტ.ჯონსტონი-დანდი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 44 | ფორფარი-მორტონი | 6.80 | 3.70 | 1.43 | 2.39 | 1.18 | 1.03 |
| 19:00 | 45 | სტრანრაერი-კოუდენბითი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 48 | ელგინი-არბროთი | 5.30 | 3.70 | 1.52 | 2.17 | 1.18 | 1.07 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 459 | მონტროუზი-ბერვიკი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 51 | უნ ბერლინი-კილი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 22:30 | 52 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი(მ) | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 53 | დორტმუნდი(მ)-დიუსელდორფი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 17:00 | 54 | ლევერკუზენი(მ)-სტ.პაული | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 17:00 | 55 | ლიუბეკი-ოსნაბრიუკი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 17:00 | 56 | მაგდებურგი-დინამო | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 17:00 | 57 | ვერდერი(მ)-ალენი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 58 | ვუპერტალი-ერფურტი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 59 | ჰერტა(მ)-მიონხენგლადბახი(მ) | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.) | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 60 | ინგოლშტადტი-ესენი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 22:00 | 61 | ფულენდორფი-ვეენი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 22:00 | 62 | ზაარბრიუკენი-კიკერსი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:30 | 63 | ზიგენი-ჰომბურგი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 64 | ბაიერნი(მ)-როიტლინგენი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:30 | 65 | დარმშტადტი-მიუნხენი1860(მ) | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:30 | 66 | ლაუტერნი(მ)-ელვერსბერგი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 17:30 | 67 | კარლსრუე(მ)-აალენი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 17:30 | 68 | შტუტგარტი(მ)-ჰოფენჰაიმი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 87 | ალბინოლეფე-რიმინი | 2.70 | 2.60 | 2.85 | 1.32 | 1.38 | 1.35 |
| 18:00 | 89 | ჩეზენა-მანტოვა | 2.35 | 2.70 | 3.30 | 1.25 | 1.37 | 1.48 |
| 18:00 | 90 | კროტონე-ჯენოა | 2.90 | 2.70 | 2.60 | 1.39 | 1.37 | 1.32 |
| 18:00 | 92 | ლეჩე-არეცო | 1.70 | 3.00 | 5.30 | 1.08 | 1.28 | 1.91 |
| 18:00 | 94 | სპეცია-ბარი | 2.00 | 2.80 | 4.10 | 1.16 | 1.34 | 1.66 |
| 18:00 | 95 | ვერონა-ვიჩენცა | 2.50 | 2.70 | 2.95 | 1.29 | 1.35 | 1.40 |
| 23:30 | 96 | ბოლონია-ფროზინონე | 1.45 | 3.40 | 8.20 | 1.01 | 1.23 | 2.40 |
| | | 26 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 93 | პიაჩენცა-მოდენა | 1.52 | 3.20 | 7.50 | 1.03 | 1.26 | 2.24 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 104 | პრო სესტო-ივრეა | 2.25 | 2.55 | 3.60 | 1.19 | 1.38 | 1.49 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 98 | ჩიტადელა-პიზა | 2.40 | 2.50 | 3.30 | 1.22 | 1.38 | 1.42 |
| 18:00 | 99 | კრემონეზე-პავია | 1.70 | 2.70 | 6.00 | 1.04 | 1.32 | 1.86 |
| 18:00 | 100 | ლუკეზე-პადოვა | 2.25 | 2.60 | 3.45 | 1.20 | 1.36 | 1.48 |
| 18:00 | 101 | ნოვარა-ვენეცია | 2.55 | 2.60 | 2.90 | 1.28 | 1.35 | 1.37 |
| 18:00 | 102 | პისტოიეზე-მონცა | 2.45 | 2.60 | 3.10 | 1.26 | 1.36 | 1.41 |
| 18:00 | 103 | პრო პატრია-მასეზე | 2.20 | 2.60 | 3.60 | 1.19 | 1.36 | 1.50 |
| 18:00 | 105 | სანჯოვანეზე-პიციგეტონე | 1.70 | 2.70 | 6.00 | 1.04 | 1.32 | 1.86 |
| 18:00 | 106 | სასუოლო-გროსეტო | 2.40 | 2.60 | 3.20 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 112 | რავენა-ტერნანა | 1.40 | 3.50 | 7.50 | 1.00 | 1.17 | 2.38 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 107 | გალიპოლი-ანკონა | 1.70 | 2.80 | 5.80 | 1.05 | 1.31 | 1.88 |
| 18:00 | 109 | მანფრედონია-ფოჯა | 2.40 | 2.50 | 3.30 | 1.22 | 1.38 | 1.42 |
| 18:00 | 110 | მარტინა-ლანჩანო | 2.25 | 2.60 | 3.50 | 1.20 | 1.36 | 1.49 |
| 18:00 | 111 | პერუჯა-სტაბია | 1.85 | 2.70 | 4.90 | 1.09 | 1.34 | 1.74 |
| 18:00 | 113 | სალერნიტანა-აველინო | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 18:00 | 114 | სამბენედეტეზე-ტერამო | 1.85 | 2.60 | 5.10 | 1.08 | 1.35 | 1.72 |
| 18:00 | 115 | სან მარინო-ნოჩერინა | 2.80 | 2.50 | 2.75 | 1.32 | 1.38 | 1.30 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 117 | კადისი-ალბასეტე | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 120 | ჰერკულესი-სალამანკა | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 21:30 | 122 | მურსია-ხიმნასტიკი | 1.70 | 3.10 | 4.80 | 1.09 | 1.25 | 1.88 |
| 21:30 | 125 | ტენერიფე-ლას პალმასი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 116 | ალმერია-ნუმანსია | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:00 | 118 | კასტელიონი-ალბასეტე | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 23:30 | 119 | ელჩე-ვალიადოლიდი | 2.90 | 3.00 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 |
| 20:30 | 121 | მალაგა -ხერესი | 2.45 | 2.90 | 2.80 | 1.32 | 1.30 | 1.42 |
| 21:00 | 123 | პონფერადინა-ლორკა | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 21:00 | 124 | რეალი(ბ)-ეხიდო | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 22:00 | 126 | ვესინდარიო-ხიხონი | 2.75 | 2.90 | 2.50 | 1.41 | 1.30 | 1.34 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 128 | ლიბურნი-მეცი | 3.10 | 2.80 | 2.35 | 1.47 | 1.33 | 1.27 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 129 | რ ვარეგემი-ლეუვენი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 18:00 | 130 | ვირტონი-დენდერი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 131 | გრაფსხაპი-აპელდორნი | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 23:00 | 132 | ემენი-ალმერე | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 23:00 | 133 | ხელმონდი-დენ ბოსხი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 23:00 | 134 | ოსი-ჰაარლემი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 23:00 | 135 | [illegible] | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 23:00 | 136 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 137 | ტელსტარი-დორდრეხტი | 2.60 | 3.00 | 2.50 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 23:00 | 138 | ოსი-ვოლენდამი | 2.75 | 3.00 | 2.35 | 1.43 | 1.26 | 1.31 |
| 23:00 | 139 | ვენლო-ვეენდამი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 140 | ზვოლე-კამბური | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 144 | დერი-სტ.პატრიკსი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 23:45 | 145 | გოლვეი-დროგედა | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 23:45 | 146 | დანდოლკი-კორკი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 147 | უოტერფორდი-ბრეი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 148 | ლონგფორდი-სლაიგო | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 177 | ხორვატია-მაკედონია | 1.32 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| 22:00 | 178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 4.30 | 3.30 | 1.80 | 1.86 | 1.26 | 1.16 |
| 23:45 | 179 | ჩეხეთი-გერმანია | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 23:30 | 180 | საბერძნეთი-თურქეთი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 17:00 | 181 | ყაზახეთი-სერბეთი | 11.00 | 5.00 | 1.25 | 3.43 | 1.12 | 1.00 |
| 23:15 | 182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 9.00 | 4.10 | 1.35 | 2.81 | 1.17 | 1.01 |
| 21:00 | 183 | მოლდოვა-მალტა | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| 21:00 | 184 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 1.08 | 7.50 | 25.00 | 1.00 | 1.03 | 5.76 |
| 23:45 | 185 | ესპანეთი-დანია | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 19:00 | 186 | ფარერები-უკრაინა | 28.00 | 8.50 | 1.05 | 6.52 | 1.01 | 1.00 |
| 19:00 | 187 | ირლანდია-უელსი | 1.65 | 3.50 | 5.20 | 1.12 | 1.25 | 2.09 |
| 20:00 | 188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 8.50 | 4.00 | 1.38 | 2.72 | 1.18 | 1.02 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 189 | ლიტვა-საფრანგეთი | 8.00 | 4.20 | 1.37 | 2.75 | 1.16 | 1.03 |
| 22:30 | 190 | ესტონეთი-რუსეთი | 5.30 | 3.40 | 1.63 | 2.07 | 1.25 | 1.11 |
| 22:30 | 191 | ისრაელი-ინგლისი | 4.35 | 3.30 | 1.80 | 1.87 | 1.27 | 1.16 |
| 23:05 | 192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 20:00 | 193 | ალბანეთი-სლოვენია | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 23:30 | 194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.55 | 3.60 | 5.70 | 1.08 | 1.21 | 2.20 |
| 23:45 | 195 | პორტუგალია-ბელგია | 1.43 | 3.90 | 7.50 | 1.04 | 1.20 | 2.56 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 469 | ავსტრია(21)-გერმანია(21) | 3.70- | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 21:30 | 470 | საფრანგეთი(21)-დანია(21) | 1.60 | 3.20 | 5.00 | 1.06 | 1.21 | 1.95 |
| 23:45 | 471 | პორტუგალია(21)-სლოვაკეთი(21) | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 12:00 | 172 | ჩინეთი-ავსტრალია | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 14:30 | 173 | იაპონია-პერუ | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:30 | 174 | ავსტრია-განა | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 15:00 | 176 | ს კორეა-ურუგვაი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 460 | ბრაზილია-ჩილე (ნ) | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 19:00 | 461 | კოსტა რიკა-ახ ზელანდია | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 16:30 | 472 | ინგლისი(21)-იტალია(21) | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 175 | აშშ-ეკვადორი | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 23:45 | 462 | მექსიკა-პარაგვაი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 197 | ბრაგა-ვარზიმი | 1.27 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10177 | ხორვატია-მაკედონია | 1.65 | 2.50 | 7.50 | 1.00 | 1.35 | 1.87 |
| 10178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 4.50 | 2.10 | 2.25 | 1.43 | 1.50 | 1.08 |
| 10179 | ჩეხეთი-გერმანია | 2.95 | 2.00 | 3.00 | 1.19 | 1.48 | 1.20 |
| 10180 | საბერძნეთი-თურქეთი | 2.55 | 2.00 | 3.85 | 1.12 | 1.53 | 1.31 |
| 10181 | ყაზახეთი-სერბეთი | 9.00 | 2.70 | 1.52 | 2.07 | 1.30 | 1.00 |
| 10182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 7.50 | 2.50 | 1.60 | 1.87 | 1.31 | 1.00 |
| 10183 | მოლდოვა-მალტა | 1.80 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.40 | 1.69 |
| 10184 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 1.22 | 3.50 | 17.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 10185 | ესპანეთი-დანია | 2.15 | 2.00 | 5.50 | 1.03 | 1.54 | 1.46 |
| 10187 | ირლანდია-უელსი | 2.20 | 2.00 | 5.20 | 1.04 | 1.54 | 1.44 |
| 10188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 7.00 | 2.40 | 1.72 | 1.78 | 1.38 | 1.00 |
| 10189 | ლიტვა-საფრანგეთი | 7.00 | 2.40 | 1.65 | 1.78 | 1.33 | 1.00 |
| 10190 | ესტონეთი-რუსეთი | 5.65 | 2.10 | 2.00 | 1.53 | 1.47 | 1.02 |
| 10191 | ისრაელი-ინგლისი | 4.75 | 2.00 | 2.20 | 1.40 | 1.50 | 1.04 |
| 10192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.80 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.42 | 1.71 |
| 10193 | ალბანეთი-სლოვენია | 3.25 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.53 | 1.18 |
| 10194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.80 | 2.30 | 6.20 | 1.00 | 1.39 | 1.67 |
| 10195 | პორტუგალია-ბელგია | 1.75 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.39 | 1.73 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11177 | ხორვატია-მაკედონია | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11179 | ჩეხეთი-გერმანია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11180 | საბერძნეთი-თურქეთი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11181 | ყაზახეთი-სერბეთი | 13.00 | 13.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.60 |
| 11182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.60 |
| 11183 | მოლდოვა-მალტა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11185 | ესპანეთი-დანია | 2.35 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11187 | ირლანდია-უელსი | 2.45 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.75 |
| 11189 | ლიტვა-საფრანგეთი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.80 |
| 11190 | ესტონეთი-რუსეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11191 | ისრაელი-ინგლისი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11193 | ალბანეთი-სლოვენია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11195 | პორტუგალია-ბელგია | 1.85 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12177 | ხორვატია-მაკედონია | 1.70 | 1.90 |
| 12178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 1.90 | 1.70 |
| 12179 | ჩეხეთი-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 12180 | საბერძნეთი-თურქეთი | 1.50 | 2.10 |
| 12181 | ყაზახეთი-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 12182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12183 | მოლდოვა-მალტა | 1.60 | 2.00 |
| 12184 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 2.30 | 1.45 |
| 12185 | ესპანეთი-დანია | 1.60 | 2.00 |
| 12187 | ირლანდია-უელსი | 1.60 | 2.00 |
| 12188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12189 | ლიტვა-საფრანგეთი | 1.60 | 2.00 |
| 12190 | ესტონეთი-რუსეთი | 1.60 | 2.00 |
| 12191 | ისრაელი-ინგლისი | 1.60 | 2.00 |
| 12192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 12193 | ალბანეთი-სლოვენია | 1.60 | 2.00 |
| 12194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |
| 12195 | პორტუგალია-ბელგია | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13177 | ხორვატია-მაკედონია | 2.20 | 1.50 |
| 13178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13179 | ჩეხეთი-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 13180 | საბერძნეთი-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13181 | ყაზახეთი-სერბეთი | 2.20 | 1.45 |
| 13182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 2.10 | 1.50 |
| 13183 | მოლდოვა-მალტა | 2.10 | 1.50 |
| 13184 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 2.30 | 1.35 |
| 13185 | ესპანეთი-დანია | 1.90 | 1.70 |
| 13187 | ირლანდია-უელსი | 1.90 | 1.70 |
| 13188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 2.10 | 1.50 |
| 13189 | ლიტვა-საფრანგეთი | 2.10 | 1.55 |
| 13190 | ესტონეთი-რუსეთი | 1.90 | 1.70 |
| 13191 | ისრაელი-ინგლისი | 1.95 | 1.65 |
| 13192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.90 | 1.70 |
| 13193 | ალბანეთი-სლოვენია | 1.70 | 1.90 |
| 13194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.90 | 1.70 |
| 13195 | პორტუგალია-ბელგია | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14177 | ხორვატია-მაკედონია | 1.08 | 2.90 |
| 14178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 2.30 | 1.60 |
| 14179 | ჩეხეთი-გერმანია | 1.90 | 1.90 |
| 14180 | საბერძნეთი-თურქეთი | 1.70 | 2.20 |
| 14181 | ყაზახეთი-სერბეთი | 2.90 | 1.04 |
| 14182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 2.90 | 1.03 |
| 14183 | მოლდოვა-მალტა | 1.22 | 2.60 |
| 14185 | ესპანეთი-დანია | 1.30 | 2.50 |
| 14187 | ირლანდია-უელსი | 1.30 | 2.50 |
| 14188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 2.90 | 1.08 |
| 14189 | ლიტვა-საფრანგეთი | 2.90 | 1.05 |
| 14190 | ესტონეთი-რუსეთი | 2.50 | 1.30 |
| 14191 | ისრაელი-ინგლისი | 2.40 | 1.40 |
| 14192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.20 | 2.60 |
| 14193 | ალბანეთი-სლოვენია | 1.95 | 1.85 |
| 14194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.30 | 2.50 |
| 14195 | პორტუგალია-ბელგია | 1.20 | 2.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15177 | ხორვატია-მაკედონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | ჩეხეთი-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | საბერძნეთი-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | ყაზახეთი-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | მოლდოვა-მალტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ესპანეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ირლანდია-უელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ლიტვა-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | ესტონეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ისრაელი-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ნორვეგია-ბოსნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | ალბანეთი-სლოვენია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | პორტუგალია-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16177 | ხორვატია-მაკედონია | 1.03 | 7.50 |
| 16178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 2.85 | 1.30 |
| 16179 | ჩეხეთი-გერმანია | 1.75 | 1.90 |
| 16180 | საბერძნეთი-თურქეთი | 1.45 | 2.35 |
| 16181 | ყაზახეთი-სერბეთი | 9.00 | 1.01 |
| 16182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 7.00 | 1.04 |
| 16183 | მოლდოვა-მალტა | 1.07 | 5.50 |
| 16185 | ესპანეთი-დანია | 1.20 | 3.80 |
| 16187 | ირლანდია-უელსი | 1.20 | 3.55 |
| 16188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 6.50 | 1.05 |
| 16189 | ლიტვა-საფრანგეთი | 6.50 | 1.05 |
| 16190 | ესტონეთი-რუსეთი | 4.00 | 1.15 |
| 16191 | ისრაელი-ინგლისი | 3.10 | 1.26 |
| 16192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.07 | 5.70 |
| 16193 | ალბანეთი-სლოვენია | 2.00 | 1.65 |
| 16194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.11 | 5.20 |
| 16195 | პორტუგალია-ბელგია | 1.06 | 6.50 |

### გოლი:ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17177 | ხორვატია-მაკედონია | 1.85 | 1.95 |
| 17178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ჩეხეთი-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17180 | საბერძნეთი-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ყაზახეთი-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17183 | მოლდოვა-მალტა | 1.85 | 1.95 |
| 17184 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ესპანეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17187 | ირლანდია-უელსი | 1.85 | 1.95 |
| 17188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ლიტვა-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17190 | ესტონეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ისრაელი-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17193 | ალბანეთი-სლოვენია | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17195 | პორტუგალია-ბელგია | 1.85 | 1.95 |

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი კაცები. მეორე წრე

# შევარდენმა თბილისს გადაუფრინა

## გეპეი მაინც თელავში გადადის

22 მარტი

**სტუ-შევარდენი 20:19 ხკ თბილისი**

**სტუ-შევარდენი:** სამყურაშვილი, მხვილიძე (გაიტანა 7 გოლი), სიგუა (4), ტალახაძე (4), ბერძენიშვილი (3), ქობელაშვილი (1), ჩუბინაშვილი (1), გოგალაძე, ყიფიანი, ნიკოლაიშვილი, გიორგი ჩიქოვანი, ირაკლი ჩიქოვანი, კობახიძე, საჯაია

**ხკ თბილისი:** ანდრიაძე, სეთურიძე, ლალანიძე (5), წივწივაძე (5), ნატროშვილი (3), გელაშვილი (2), ქირია (2), ფორაქიშვილი (1), ოსიყმაშვილი (1), გრიშიკაშვილი, ქუთათელაძე

*მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი*

*საქართველოს ხელბურთის ასოციაციის დელეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი*

**იმედი 22:30 ძარიშხალა**

**იმედი:** გონჩაროვი, ვახანია, ყაველაშვილი (8), ცოტაძე (6), ქარდავა (3), მაისურაძე (3), კვერნაძე (2), ბერიაშვილი, კერესელიძე, საბანაშვილი, თეთრუაშვილი, ლომიძე, ბიდოდაშვილი

**ძარიშხალა:** გიგა ტორონჯაძე, ქანთარია, სხიერელი (10), ირაკლი ტორონჯაძე (5), ჩიხლაძე (5), მელქოშვილი (5), ოთარ ამირანაშვილი (4), ჯორბენაძე (1), ჯობავა, ალეკო ამირანაშვილი, მუმლაძე, ლობჟანიძე, ჯოხარიძე, სეთურიძე

*მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი*

*საქართველოს ხელბურთის ასოციაციის დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი*

როგორც იქნა, გუშინ შედგა ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტების პირველი მატჩი. შეგახსენებთ, რომ სასტარტო ტურში ორგანიზაციული პრობლემების გამო საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ სათამაშოდ არ გამოცხადდა და „ხელბურთის კლუბ თბილისს“ ტექნიკური მოგება (10:0) ჩაეთვალა.

ჩემპიონატის ფავორიტთა მეორე წრის, შარშან დეკემბერში გასამართი დაპირისპირება კი ეროვნული ნაკრების აზერბაიჯანში ამხანაგური ტურნეს მიზეზით არ შედგა. მოკლედ, თითქმის ხუთთვიანი ლოდინის შემდეგ პირველად ვიხილეთ მეტოქეების დაპირისპირება. მიმდინარე ჩემპიონატში კი ისინი სულ ცოტა, კიდევ ოთხჯერ შეერკინებიან ერთმანეთს.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მომავალ კვირაში ჩემპიონთა ორსიტყვა დასახელებას „თელავიც“ მიემატება. დედაქალაქურ-კახური ალიანსი, რის შესახებაც თითქმის ორი წელია ლაპარაკობენ, მესამე ცდიდან პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია. როგორც შევარდენთა ხელმძღვანელობისგან შევიტყვეთ, ამ ორი კლუბის გაერთიანება ორიოდ დღეში ოფიციალურად გაფორმდება, რის შემდეგაც კომპლექსური გუნდი თამაშებს თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტსკოლის კოხტა, განახლებულ დარბაზში ჩაატარებს.

ახლა უშუალოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში შემდგარ მატჩზე. დასაწყისი ისეთი იყო, იფიქრებდით „თბილისს“ მოგება არ გაუჭირდებაო — ირაკლი ქირიამ, ლევან გელაშვილმა და გიორგი წივწივაძემ თავიანთი გუნდი მშრალად დააწინაურეს — 3:0. ჩემპიონებს მეტოქეთა დაცვის გარღვევა უჭირდათ, შორეულ ტყორცნებს კი შედეგი ვერ მოჰქონდა. ტექნიკოსებმა პირველად მხოლოდ მეექვსე წუთზე მოახერხეს ჩინებულად მოთამაშე კორნელი ანდრიაძის კარის დალაშქვრა.

მხოლოდ დასაწყისში კი არა, თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში, ორივე გუნდი, ბუნებრივია, მომეტებული მღელვარების გამო უამრავ შეცდომას უშვებდა. ჩემპიონები უფრო ადრე „დალაგდნენ“ — დაცვაც გაამაგრეს და შეტევებიცააწყეს, შედეგად სამ წუთში ანგარიში გათანაბრდა, ხოლო მე-13 წუთზე ხაზელი ირაკლი სიგუას ზუსტი ტყორცნით თავად მიპოვეს სამბურთიანი უპირატესობა — 6:3. „თბილისის“ ხელბურთელებს ცხრაწუთიანი ხელმოცარვის პერიოდი დაუდგათ, ერთხელაც ვერ შეძლეს გიგა სამყურაშვილისთვის გოლის გატანა.

შესანიშნავად ჩაატარა მთელი მატჩი სიგუამ, დაცვაშიც უნაკლოდ მოქმედებდა და იერიშების წინა ხაზზეც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს, როცა მეტოქის შემოტევისას ჩაჭრა ბურთი, ეს თითქმის ორმეტრიანი გიგანტი სპრინტერივით გაიჭრა წინ და ეფექტური ტყორცნით პირველად დააწინაურა თავისიანები ოთხი ბურთით — 10:6. ვფიქრობთ, გამარჯვებულის ვინაობაც მაშინ გაირკვა.

თბილისელებს შესვენების შემდეგ, ცხადია, მცდელობა არ დაუკლიათ გარდატეხის შესატანად და საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს — 18:18, მაგრამ მალხაზ ჩუბინაშვილისა და ლევან ბერძენიშვილის გოლების შემდეგ ფარ-ხმალი დაყარეს.

„თბილისის“ ისედაც ემოციურმა მთავარმა მწვრთნელმა მამუკა მჟავანაძემ ბოლო გაშვებული ბურთის მერე მსაჯობით უკმაყოფილება ვერ დაფარა...

**გია ახალაძე**



| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხკ თბილისი | 6 | 0 | 1 | +85 | 12 |
| სტუ-შევარდენი | 6 | 0 | 1 | +85 | 12 |
| ძარიშხალა | 3 | 1 | 3 | 0 | 7 |
| იმედი | 2 | 1 | 5 | -65 | 5 |
| სსსუ-გამული | 0 | 0 | 7 | -105 | 0 |





კოკაიმ კოტოოსიუ დოჰიოს მიღმა მოისროლა

# ქართველი ბულგარელს დაა-9

**ოსაკური** ბაშოს დასრულებამდე სამი ტურით ადრე იმპერატორის თასის მოპოვების შანსი ხუთ სეკიტორს შერჩა. ლევან ცაგურიაც სწორედ ამ ხუთეულშია. კოკაიმ გუშინ მრისხანე მეტოქეს სძლია და მეცხრე ქულა მიითვალა. ჩვენებურმა ორმეტრიან ბულგარელ ოძეკი კოტოოსიუს პირველსავე შეჯახებაზე დააკარგვინა წონასწორობა. „ბალკანელმა გულივერმა“ „შავ ზღვას“ ზურგი აქცია და უმალ ისეთი დარტყმა მიიღო, დოჰიოს ხაზს მიღმა გადავარდა.

ერთპიროვნული ლიდერი ისევ მონღოლი ოძეკი ხაკუხოა. 22 წლის „თეთრმა ფენიქსმა“ მეთორმეტე ტურში მეთერთმეტე გამარჯვება მოიპოვა, თასს ერთი ნაბიჯითაც მიუახლოვდა და თან სეკივაკე კოტომიცუკის სექტემბრის და იანვრის ბაშოებზე განცდილი მარცხების გამო აუღო რევანში.

ხაკუხოს კვალში ყველაზე ახლოს იოკოძუნა ასასიორიუ და უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტი ტოჩიოძანი უდგანან ათ-ათი ქულით. შემდეგ კი კოკაი და რიგითი მაეგაშირა ტამანოსიმა მოდიან. გუშინდელ შეხვედრამდე ცაგურიას ჯგუფში კიდევ ოთხი სეკიტორი იყო. აქედან სამმა: ხომასიომ, კოტომიცუკიმ და ვაკანოსატომ წააგეს, ტოჩიაძუმას კი დოხიოზე გასვლა ექიმებმა აუკრძალეს. 30 წლის ოძეკისთვის ტურნირი უკვე დასრულებულია.

მეცამეტე ტურში კოკაი ტოინოსიმას დაეჭიდება, ხაკუხო — ტიოტაიკაის, ასასიორიუ — კოტოოსიუს, ტოჩიოძანი — როხოს, ხოლო ტამანოსიმა — ტოჩინოხას.

**ოთარ გოგლაკელიძე**



# ფოთი ქამრების ქალაქია

**გუშინ** ვერის ბაღის კრივის დარბაზში პროფესიონალმა მოკრივეებმა სამი სარეიტინგო ორთაბრძოლა და ერთიც საქართველოს საჩემპიონო ქამრისთვის ჩხუბი გამართეს. ოთხივე დაპირისპირებამ უკომპრომისოდ, მაღალ ტემპში ჩაიარა და დარბაზში შეკრებილ მცირერიცხოვან ქომაგს მოწყენის საშუალება არ მისცა.

თავიდან რინგი 62 კგ-იან დავით ინასარიძეს (რუსთავი) და გორელ ივანე ტლაშაძეს დაეთმოთ. ტლაშაძე სიმაღლითაც მაღალია და ფიზიკურადაც უფრო ძლიერის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. ინასარიძემ შესაშური ოსტატობა და ფიზიკური მომზადება გამოავლინა, მეტოქეს ოთხივე რაუნდში ბოლომდე ებრძოლა და დამსახურებულადაც იმარჯვა.

66 კგ-ში მოკრივეებმა ყველაზე ნაკლები დრო დაყვეს რინგზე. ვარიანელ ბორის მდინარაძეს ორი რაუნდი დასჭირდა რუსთაველი სერგო სონიშვილის დასამარცხებლად — პირველივე წამიდან სულის მოთქმის საშუალება არ მისცა მეტოქეს, რომელმაც მეორე რაუნდის ბოლოს დანებების ნიშნად ხელი ასწია. ვარიანელ მოკრივეს ტექნიკური ნოკაუტი ჩაუთვალეს.

72 კგ-ში მიხეილ ხუციშვილსა (ვარიანი) და დავით ფალევანიანს (ბორჯომი) შორის ის შედეგი აღინიშნა, რომელიც კრივში იშვიათად ხდება. მეტოქეებმა უკომპრომისო ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლეს და ერთმანეთს საყაიმო ანგარიშით დაშორდნენ.

62 კგ-ის მოკრივეები მეორედ ავიდნენ რინგზე, ოღონდ ამჯერად საქართველოს ქამრის ტიტულის დასაუფლებლად. ფოთელმა დავით მაკარაძემ და თბილისელმა გარი აბაჯიანმა მთელი ათი რაუნდი იომეს. ერთი დონის სპორტსმენებში მცირე უპირატესობა ზღვისპირელს ჰქონდა, მიზეზი კი სწორად წარმართული ბრძოლა იყო. მაკარაძე ერთ მოძრაობას არ აკეთებდა მწვრთნელების მითითების გარეშე. მოკრივეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გიჟურ რიტმს ბოლომდე გაუძლეს და ტემპის დაგდება არც კი უცდიათ. თბილისელი სპორტსმენი ძირითადად თავს კი იცავდა, მაგრამ შიგადაშიგ საკმაოდ ძლიერ დარტყმებს აკეთებდა, რაც ქულათა სხვაობის შემცირების საშუალებას აძლევდა.

ასეთი სიტუაცია მერვე რაუნდამდე გაგრძელდა. ბოლო ორი რაუნდი კი მთლიანად ფოთელის იყო, რამაც მისი საბოლოო გამარჯვება განაპირობა. ფოთში კი უკვე მეორე ქამარი დაიდებს ბინას.

**ლევან მაისურაძე**





# რუსთავში სერბი ბოიარი ჩამოდის

## ბოიანი პატარა ძალა არ არის

9 მარტს საქართველოს ჩემპიონატში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, თუმც რუსთავის „აზოტმა“ მოასწრო და წინა დღეს განაცხადში შეიყვანა სერბი უკანახაზელი ბოიან მალოშევიჩი, რომელიც საქართველოში ამ თვის ბოლოს ჩამოვა და სავარაუდოდ, რუსთაველებთან კონტრაქტსაც გააფორმებს. მალოშევიჩი 26 წლისაა და საკმაო გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს. მან ბოლო სეზონი ირანში გაატარა, მანამდე კი რუსეთის, ლატვიის, პოლონეთის, ჩეხეთისა და საბერძნეთის უმაღლეს ლიგებში თამაშობდა. ახალწვეულთან დაკავშირებით რუსთაველთა თავკაცი *დავით უსტიაშვილი* გვესაუბრება...



ჯნახოთ: დავით უსტიაშვილი ბოიან მალოევიჩს ელის

— მალოშევიჩის დამატება მოულოდნელად გადავწყვიტეთ. 8 მარტს ირანიდან შეგვეხმიანა ის მენეჯერი, რომელიც ჩვენთვის მოთამაშის მოძებნით იყო დაკავებული და ამ სერბის ვარიანტი შემოგვთავაზა. მოგეხსენებათ, ირანში სეზონი თებერვალში დასრულდა, ხოლო ამ დროისთვის ევროპის ყველა ქვეყანაში სატრანსფერო ფანჯარა დახურულია. ამიტომაც მალოშევიჩს თავად გამოუთქვამს საქართველოში თამაშის სურვილი და ჩვენ რომ ეს შევიტყვეთ, ბევრი არ გვიფიქრია, ბოიანი განაცხადში შევიყვანეთ.

**— ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მალოშევიჩი „აზოტში“ ითამაშებს?**

— მას ისეთ ჩემპიონატებში უთამაშია, რომ არა მგონია, ჩვენი დასაწუნი იყოს. ირანში მალოშევიჩის გუნდი მე-3 ადგილზე გავიდა, რაც არაა უბრალო ამბავი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მას შევამოწმებთ, დავაკვირდებით და კონტრაქტს მერელა გავუფორმებთ. ისე, არა მგონია, ის „აზოტში“ არ დარჩეს.

**— მალოევიჩი უკანახაზელია და „აზოტისთვის“ რამდენად საჭირო იყო ამ რგოლში გაძლიერება?**

— ბოიანი 199 სანტიმეტრია და როგორც ვიცი, ძირითადად გამთამაშებლად თამაშობს. ამ სიმაღლის გამთამაშებელი საქართველოში და სხვაგანაც, ცოტა უცნაურია, თუმც მალოშევიჩი, როგორც ჩანს, საკმაოდ მოქნილი და სწრაფია. მას შეუძლია ასევე მსროლელისა და ფრთის პოზიციებზე თამაში და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს.

**— ლეგიონერის დამატება ალბათ უფრო ამყარებს თქვენს საჩემპიონო შანსებს...**

— მალოევიჩი რომც არ დაგვემატებინა, ჩვენ მაინც მხოლოდ ჩემპიონობას ვგეგმავდით, ახლა — მით უმეტეს. გამალებით ვემზადებით და ფინალური სერიისთვის უკეთეს ფორმაში ვიქნებით. თუ სერბიც დაგვეხმარება, მთლად უკეთესი.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ზაზამ დევი დაადუმა

21 მარტი

**ატლანტა 83:91 მაიამი**

ატლანტა: ა. ჯონსონი (4), ჩილდრესი (9) მ. უილიამსი (16 ქულა, 12 მოხსნა), სმიტი (27), ფაჩულია (21 ქულა, 10 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა); სტუდემაიერი (13), შ. უილიამსი (4), რაიტი, ლუ, ჯონსი

მაიამი: უილიამსი (21), ჯონსი (14), პოუზი (10), ჰასლემი (10), ონილი (12); დოლიკი (10), უოლკერი (6), პეიტონი (4), რაიტი (4)

**კლივლენდი 90:98 დალასი**

კლივლენდი: ჯეიმსი (31), გუდენი (19), პავლოვიჩი (16)

დალასი: ნოვიცკი (23 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ტერი (21), ჰარისი (17)

**სიეტლი 106:108 ვაშინგტონი**

სიეტლი: უილკოქსი (27 ქულა, 22 მოხსნა), ლუისი (26 ქულა, 10 მოხსნა)

ვაშინგტონი: არენასი (42) ჯეემისონი (21)

**საკრამენტო 89:95 მინესოტა**

საკრამენტო: ბიბი (23), აბდურ-რაჰიმი (19), უილიამსონი (17 ქულა, 10 მოხსნა)

მინესოტა: ფოიე (24), გარნეტი 17 ქულა, 18 მოხსნა), დევისი (14)

**ტორონტო 92:85 ორლანდო**

ტორონტო: ბოში (34 ქულა, 16 მოხსნა), ფორდი (16 ქულა, 12 პასი), დიქსონი (15)

ორლანდო: ჰილი (24), ჰოვარდი (17 ქულა, 18 მოხსნა), ნელსონი (15)

**ბოსტონი 84:92 შარლოტი**

ბოსტონი: პირსი (23), ჯეფერსონი (22 ქულა, 11 მოხსნა)

შარლოტი: ფელტონი (19), კეროლი (15), ანდერსონი (14)

**სან ანტონიო 90:72 ინდიანა**

სან ანტონიო: დანკანი (27), ელსონი (14)

ინდიანა: დიოგუ (14)

**მილუოკი 103:104 კლიპერსი**

მილუოკი: რედი (27), უილიამსი (20), პატერსონი (20)

კლიპერსი: მაგეტი (22), ბრენდი (21), მობლი (19)

**ზაზა ფაჩულიას** და მის „ატლანტას“ შინ დიდი ბრძოლა გადახდათ „მაიამისთან“. მასპინძლები მომხდურებს ბოლომდე ეომნენ და ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ და ეს წაგება მათთვის პირველი იყო ბოლო ექვს საშინაო მატჩში.

მძიმე თამაში გამოვიდა ფაჩულიასთვის. 23 წლის ქართველი მეფარე ბოლო ათწლეულში ლიგის ყველაზე გოროზ ცენტრს, 35 წლის შაკილ ონილს შეება და ტოლ-სწორადაც. ზაზამაც და დევშაკმაც 21-21 წუთი ითამაშეს, ერთმანეთს ქულების გროვების საშუალება არ მისცეს, სამაგიეროდ კი პერსონალურები აჰკიდეს — ფაჩულიას 5 ჰქონდა, ონილს კი — 4. ქულებით და მოხსნებიც თითქმის თანაბრად მოუგროვდათ — ქართველს 10 ქულა და 4 მოხსნა, ამერიკელს კი 12 ქულა და 3 მოხსნა.

მაგრამ, ვაგლახ, დევშაკის შებორკვა არ გამოდგა საკმარისი თამაშის მოსაგებად. მაიამელთაგან სულ სხვამ, გაბარიტებით ონილთან შედარებით მომცრო კაცმა გამოიდო თავი. ფლორიდელთა ვერცხლისწყალა თეთრმა გამთამაშებელმა ჯეისონ უილიამსმა ატლანტელ დაბლებს თავბრუ დაახვია, განსაკუთრებით ტანმსხვილ ოპონენტ ენტონი ჯონსონს, ამ ჩახუთულ და მწირქულიან თამაშში 21 ქულა გააკეთა, ამას ზედ 8 პასი მოაყოლა და თავის დამრიგებელ პატ რაილის ათქმევინა, ჯეისონმა სულ ასე რომ ითამაშოს, ჩვენი მომრევი ბევრი ვერავინ მოიძებნებოდაო. ჩვენ კი აქვე დავძინოთ, რომ „მაიამის“ ისედაც ვერ უგებს ბევრი. რაც ლიდერი დუინ უეიდი დაემტვრათ, ჩემპიონები აშკარად გამოფხიზლდნენ და უმისოდ 14 თამაშიდან 11 მოიგეს. შედეგად „მაიამი“ „ვაშინგტონს“ წამოეწია და დივიზიონის ლიდერობაშიც ეცილება.

„ვაშინგტონი“ ვახსენეთ და ესეც ვთქვათ: დედაქალაქელებმა სიეტლში იქაურ „სონიქსს“ დიდი ბრძოლის შემდეგლა მოახრევინეს ქედი. ვაშინგტონელმა ჯილბერტ არენასმა 42 ქულა ჩააგდო, ამასთან ზედ სირენასთან ერთად 106:106 ანგარიშზე ჩააკალათა გამარჯვების მომტანი ორქულიანი.

დღის ყველაზე ხმაურიანი მატჩი კლივლენდში გაიმართა იქაურ „კავალიერზსა“ და დალასურ „მავერიკსს“ შორის. ბევრი ამ თამაშს გუნდების ლიდერების — ლებრონ ჯეიმსისა და დირკ ნოვიცკის პირად დუელად აღიქვამდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პირველმა 31, მეორემ კი 23 ქულა გაახერხა, შეიძლება ითქვას, რომ თამაში არც ერთს არ წაუვიდა. ჯეიმსმა 28 ტყორცნიდან 16 ააცილა, 6 სამქულიანიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო და შესაბამისად, თავისი გუნდის არაერთი შეტევა გააცუდა. უარესად ისროდა ნოვიცკი — 24 ტყორცნიდან 9 ჩაგდებით ვერ დაიტრაბახებს ეს ხელჩუბინი კაცი. მაგრამ ამ თამაშმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ „დალასი“ მძლავრი გუნდია და მხოლოდ დირკ ნოვიცკის კისერზე არ არის ჩამოკიდებული.

**კოტე ყორშია**



ზაზა ფაჩულიამ ჯეიმს პოუზის ბურთი არ მიაღებინა



## ბარნანიმ ოპერაცია გაიკეთა

„ტორონტო რეპტორზის“ სუპერახალბედამ, გასული დრაფტის პირველმა ნომერმა ანდრეა ბარნანიმ ოპერაცია გაიკეთა და უახლეს დღეებს საავადმყოფოში გაატარებს. სეზონის საუკეთესო ახალბედას პრიზის უმთავრესი კანდიდატი ბრმა ნაწლავმა შეაწუხა და ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო. „ტორონტომ“ თითქმის გაინაღდა პლეი ოფის საგზური და რაც გინდა გაეწელოს რეაბილიტაციის პერიოდი, ბარნანი „დინოზავრებს“ მაინც დაეხმარება.

## ზო მუხლმა შეაწუხა

„მაიამის“ გამოცდილი ცენტრი ალონზო მურნინგი გუნდს გაურკვეველი დროით გამოაკლდა. „ზოს“ არ უთამაშია „მაიამის“ ბოლო მატჩში „ატლანტას“ წინააღმდეგ, რომელიც ფლორიდელებმა იოლად მოიგეს. მურნინგმა მუხლი გასულ კვირას დაიშავა „ორლანდოსთან“ შეხვედრაში და მას მერე ჯანზე ჯერაც ვერ მოსულა.

## მილუოკი გაიცხრილა

ისედაც წყალწაღებულ „მილუოკის“ ქვა აღმართში დაეწია. „ხარირემთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა ენდრიუ ბოგუტმა ფეხი იტკინა და მინიმუმ თვენახევარი მოედანზე ვერ გავა. ტრავმირებულია ასევე ჩარლი ვილანუევა, ვისაც მარჯვენა მხარი აწუხებს და ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს.

ბოგუტმა ფეხი ჯერ კიდევ 7 მარტს, „ლეიკერსთან“ მატჩში დაიჭიმა და მას მერე რისკის ქვეშ თამაშობდა. ოთხშაბათის ვარჯიშზე კი მან კიდევ უფრო გაიმიზეზა ტრავმა და შესაძლოა, მოედანზე სეზონის ბოლომდე ვეღარ გავიდეს.

## ალენის ქუსლი

დიდი შანსია, „სიეტლ სუპერსონიქსი“ ლიდერის გარეშე დარჩეს — რეი ალენს მოსვენებას არ აძლევს მარცხენა ქუსლი, ძვალზე წანაზარდები გამოსვლია და საშინლად სტკივა. ოპერაცია რომ გაიკეთოს, მისთვის სეზონი დასრულდება, რომ არ გაიკეთოს, ტკივილი აწუხებს. ალენს მარცხენა მუხლიც სამკურნალო აქვს, თუმც მასზე ოპერაცია არ ესაჭიროება.

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# იყო დრო, იყო «ვრემია»

## ქუთაისი ქალაქია: დერიუგინი ქართველია

17 წლის სრულიად უცნობი, რუსულგვარიანი ქუთაისელი ბიჭი ყველასთვის მოულოდნელად მოსკოვში 59 ქულას უგდებს საბჭოთა კავშირისა და მთელი ევროპის ფლაგმან ცსკა-ს — ასე სენსაციურად დაიწყო ნიკოლოზ დერიუგინმა თავისი ბრწყინვალე კარიერა. ეს იყო მისი პირველი შეტაკება ბობოქარ წითელარმიულ გუნდთან და საერთოდაც, მანამდე დერიუგინს არც ერთი მატჩი არ ეთამაშა სრულად თბილისის „დინამოში". ის საოცარი მოსკოვური მატჩი ცსკა-ს გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ თამაშის შემდეგ საბჭოურ კალათბურთს უკვე ახალი კერპი ჰყავდა — კოლია დერიუგინმა იმ საღამოს პირველად ჩამოარიგა ავტოგრაფები და ინტერვიუები. დერიუგინი ახლა 47 წლისაა და იმ ჯადოსნურ მატჩსა და მისით გამოწვეულ ეიფორიაზე გვიამბობს.

**ირაკლი პერტაია**



www.sportphoto.ge ფოტო

ცესკასთან ეს მატჩი 1977 წლის ოქტომბერში ვითამაშეთ. ერთი წლის ჩამოსული ვიყავი ქუთაისიდან და ჯერაც „დინამოს" დუბლების მოთამაშედ ვითვლებოდი. წინა სეზონი სათადარიგოთა სკამზე გავატარე, ლევან მოსეშვილს იშვიათად, ისიც ორი-სამი წუთით შევყავდი მოედანზე, რათა უმაღლესი ლიგისთვის ალღო ამეღო და დიდ კალათბურთს გავშინაურებოდი. მხოლოდ დუბლებში ვთამაშობდი სრულად და დიდ „დინამოში" მეორე- მესამეხარისხოვან როლებს ვასრულებდი.

„დინამო" მაშინ არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც 60-იან წლებში, ცესკა კი საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ ითვლებოდა. რა დასამალია და, მოსკოვში ვალის მოსახდელად მივდიოდით, რადგან ვიცოდით, არავინ მოგვაგებინებდა. ცესკა ჩვენზე ისედაც ძლიერი იყო, მაგრამ სასწაული რომ მომხდარიყო და მოგებამდე მივსულიყავით, არმიის კლუბს მოსკოვში არავინ წააგებინებდა. ამიტომაც ჩვეულებრივი განწყობით ჩავედით და უფრო იმ მატჩზე ვფიქრობდით, მოსკოვის შემდეგ რიგაში ასკ-სთან რომ უნდა გვეთამაშა.

არ მეგონა, მოედანზე თუ გავიდოდი, მაგრამ თურმე მთელი „დინამო" ჩემზე აპირებდა თამაშს და ეს მე გვიან გავიგე. მატჩამდე ლევან მოსეშვილს ყველასთვის უთქვამს, თავი დაანებეთ კომბინაციებს, აქ მაინც არავინ მოგვაგებინებს და ჯობს, კოლიას ძალა ვაჩვენოთ რუსებსო. ჩემ გარდა „დინამოში" ყველა გამოცდილი იყო — მიშა ქორქია, ლევან ჩხიკვაძე, გივი ბიჭიაშვილი, იური ძიძიგური და სხვები. ესენი თურმე იმის ცდაში იყვნენ, პასებით მოვემარაგებინეთ და ეს მერელა გავიგე, ბიჭებმა მითხრეს რიგის მატარებელში.

ლევან მოსეშვილმა ხუთეულში რომ დამაყენა, ეს ჩემთვის იყო გასაკვირი და წარმოიდგინეთ, დარბაზში შეკრებილი გულშემატკივარი რას იფიქრებდა. პირველად ვთამაშობდი ამდენი ხალხის წინაშე და იმდენად გამოუცდელი ვიყავი, წესიერად არც კი ვიცოდი, რა დონის კალათბურთელების წინააღმდეგ უნდა მებრძოლა. სერგეი ბელოვი, ალჟან ჟარმუხამედოვი, ევგენი კოვალენკო, ვლადიმირ პეტრაკოვი და ჩემი უშუალო მეტოქე, 212-სანტიმეტრიანი სერგეი კოვალენკო — ესენი ყველა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები ან კანდიდატები იყვნენ.

დაიწყო თამაში და მართლაც ყველა მე მაძლევდა პასს. მაშინ სამქულიანები არ იყო და შორიდან სროლას აზრი არ ჰქონდა. არ ვიცი, რა ფეხზე ავდექი იმ დღეს, მაგრამ არც ერთი ბურთი არ ამიცილებია. ისეთი შეგრძნება მქონდა, თვალდახუჭულმა რომ ვესროლო, ჩავარდება-მეთქი. ზუსტად არ მახსოვს, მგონი, 17-დან 17 ორქულიანი ჩავაგდე. საჯარიმოებსაც ზუსტად ვესროდი, თითო-ოროლა თუ ავაცილე.

დამთავრდა პირველი ტაიმი და 20 ქულაზე ცოტა მეტი მქონდა. ლევან მოსეშვილი ტაქტიკურ დავალებებს არ გვაძლევდა, არც კომბინაციებს არჩევდა. მისი ჩანაფიქრი თურმე ჩემი ბომბარდირობა იყო და ამიტომაც არ იძლეოდა დავალებებს.

მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ბურთების ჩაგდებას ვუმატე, მასპინძლებმა ჩემი შეშინება გადაწყვიტეს. იფიქრეს, ბავშვია და გაგვივაო. სერგეი კოვალენკომ ხან მხარი გამკრა, ხან ხელი, ხოლო როცა აშკარა უხეშობაზე გადავიდა, სიტყვიერად შევკამათდით.

ორი სიტყვის თქმა ვერ მოვასწარით ერთმანეთისთვის, რომ მიშა ქორქია მოვარდა და გამომექომაგა. სიმართლე ვთქვა, არ ველოდი, რომ ქორქია კოვალენკოს ასე მკაცრად დაელაპარაკებოდა ჩემ გამო, რადგან ისინი მეგობრები იყვნენ. საერთოდ, მთელი ცესკა მიშას ძმაკაცები იყვნენ — ისინი ერთად თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებში. მე ახალი ჩამოსული ვიყავი ქუთაისიდან და როგორც მიშა ქორქია, ისე მთელი „დინამო", მაშინ ჩემთვის ჯერაც უცხოები იყვნენ. მას შემდეგაც ყოველთვის ვგრძნობდი ქორქიას მხარდაჭერას. მან ძალიან ბევრი რამ მასწავლა. მთავარი, რაც მისგან შევითვისე, ჯიგრიანი და შეუპოვარი თამაში იყო. მიშა გამორჩეულად ალბათ იმიტომ ზრუნავდა ჩემზე, რომ მასსავით ქუთაისელი ვიყავი.

ჰოდა, მივიდა კოვალენკოსთან და ისეთი ტონით უთხრა, ბავშვს ნუ ჩაგრავ, არაფერი შეგეშალოსო, რომ ამ 212-სანტიმეტრიანმა კაცმა ხმა ვერ ამოიღო. იმის მერე პრობლემა საერთოდ აღარ შემქმნია, რადგან პატიოსან თამაშში ჩემი შემჩერებელი იმ დღეს არავინ იყო.

საბოლოოდ მაინც ცესკამ მოიგო, მაგრამ უბრძოლველად მაინც არაფერი დაგვითმია. თამაში 110:100 დამთავრდა და მატჩის ბოლოს დიქტორმა ასეთი რამ გამოაცხადა: ახალგაზრდა, უცნობმა, მაგრამ ძალიან პერსპექტიულმა დერიუგინმა 59 ქულა გააკეთა. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშს მიკრავდა. იქვე გამოაცხადეს, რომ ეს იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების რეკორდი. ნაღდად არ მეგონა, ამდენი ქულა თუ მოვაგროვე. თავიდან ვერც დავიჯერე, გაოგნებული ვიყავი და როცა თამაშის ოქმს ჩავხედე, მერელა დავრწმუნდი. არც კი მეგონა, რომ 40 წუთში ამდენი ქულის დაგროვება შესაძლებელი იყო. არ ვიცოდი, რა მექნა, ყველა ჩემთან მოდიოდა და მილოცავდა — არავის ახსოვდა, რომ ცესკამ მოიგო, საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი.

გასახდელისკენ დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ წავედი და მერე გულშემატკივრებმა შემომარტყეს წრე. ახალგაზრდა გოგოები სჭარბობდნენ, რომლებიც ავტოგრაფს მთხოვდნენ. 17 წლის ვიყავი, ცხოვრებაში ავტოგრაფი არავისთვის მიმეცა და ასეთ ვითარებაში რომ აღმოვჩნდი, ცოტა დავიბენი. ხელის მოწერაში ჯერ არც კი ვიყავი გაწაფული და ერთმანეთისგან განსხვავებული ავტოგრაფები დავარიგე.

გასახდელიდან მალევე გამოვედით და ავტობუსისკენ გავეშურეთ, რადგან რიგის მატარებელზე გვაგვიანდებოდა. თურმე ავტობუსთან ჟურნალისტები მელოდებოდნენ და ახლა მათ დამიწყეს გამოკითხვა — სად დავიბადე, ვინ იყო მამაჩემი, რუსული გვარი მაქვს და რატომ ვთამაშობ თბილისის „დინამოში", ქუთაისში საიდან მოხვდნენ ჩემი მშობლები... მოკლედ, მთელი ბიოგრაფია მომაყოლეს. დიდ უხერხულობაში ჩავვარდი. ავტობუსი წასასვლელად მზად იყო და ჩემ გამო ვერ მიდიოდა. ყველა ჩემი თანაგუნდელი ავტობუსში იყო, მე კი, „დინამოს" ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშე, ინტერვიუებს ვარიგებდი. თურმე ამ დროს ბიჭები ჩემზე იცინოდნენ, რადგან სახეზე მეტყობოდა, რომ ორ ცეცხლს შუა ვიყავი.



www.sportphoto.ge ფოტო

მატარებელში გავიგეთ, რომ „ვრემიას" სპორტულ წამყვან ნინა ეროშინას გამოუცხადებია, თბილისის „დინამოს" 17 წლის მოთამაშე დერიუგინმა 59 ქულა ჩაუგდო ცესკას და საბჭოთა კავშირის ნაკრებს ახალი ვარსკვლავი ეყოლებაო. ეს იმხელა მოვლენა იყო, რომ მთელმა გუნდმა ძალიან გავიხარეთ. ისეთი ვითარება შეიქმნა, თითქოს თამაში მოგვეგოს.

რიგაში ჩავედით თუ არა, „სოვეტსკი სპორტი" ვიყიდეთ და ახლა იქ ეწერა კიდევ უფრო საქებარი სიტყვები. ერთადერთი, რაც არ მოგვეწონა, ის იყო, რომ შეცდომით 59-ის ნაცვლად 57 ქულა იყო აღნიშნული.

რიგაში უკვე იცოდნენ ჩემი ამბავი და განსაკუთრებულად მმეურვეობდნენ, თუმცა მაინც დავაგროვე 44 ქულა და ის თამაში მოვიგეთ.

იმის მერე „დინამოს" ხუთეულში დავმკვიდრდი და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მიმიწვიეს. ცესკა გაზაფხულზე საპასუხო მატჩის სათამაშოდ თბილისში რომ ჩამოვიდა, ალექსანდრ გომელსკი მამაჩემთან მივიდა და უთხრა, მოსკოვში ბინასაც მოგცემთ, მანქანასაც, ოღონდ კოლია ჩვენთან წამოვიდესო. თანაც რუსული გვარი გაქვთ და თქვენთვის ასე აჯობებსო. მამაჩემმა უარი უთხრა და თუ რატომ, ეს უკვე ცალკე ისტორიაა...



www.sportphoto.ge ფოტო

ძველი და რა „დინამო": გივი ბიჭიაშვილი, ნიკოლოზ დერიუგინი და მიხეილ ქორქია!

მასტერსის სერია. კი ბისკეინი. აშშ. ჰარდი.
22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო 6 900 000$

# კუერტენისგან კუდა დარჩა



გუსტავო კუერტენი ძველებურად ველარ გუგუნებს

### კაცები

პირველი წრე

რიკარდო მელო (ბრაზილია) — იან პერნიხი (ჩეხეთი) 6:1 7:6; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:5 6:1; თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) — იან პაცეკი (ჩეხეთი) 7:5 4:6 7:5; დანიელე ბრაჩიალი (იტალია) — მაქს მირნი (ბელარუსია) 7:6 6:4; მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4 6:0; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3 6:3; ფლორინ სერა (საფრანგეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 6:7 7:6 6:4; მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხ. კორეა) 6:4 6:2; ლუის ჰორნა (პერუ) — პარადორნ შრიჩაპანი ტაილანდი) 5:2 (უარი); სიმონე ბოლელი (იტალია) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 6:4 6:2; ხუან მონაკო (არგენტინა) — რობინ ჰაზე (ჰოლანდია) 6:4 6:4; პოლ გოლდსტეინი (აშშ) — რაიან სვიტინგი (აშშ) 6:2 2:6 6:3; რაემონ სლუტერი (ჰოლანდია) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:2 6:2; პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:1 6:1

### ქალები

პირველი წრე

ვანია კინგი (აშშ) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 7:6 7:5; ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:4 6:2; მეილენ ტუ (აშშ) — რომინა ოპრანდი (იტალია) 6:3 6:2; მიშელა ლაშერდე ბრიტო (პორტუგალია) — მეგან შონესი (აშშ) 3:6 6:2 7:6; ლაურა გრენვილი (აშშ) — ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 6:4 7:6; ანასტასია იაკიმოვა (ბელარუსია) — მარია ელენა კამერინი იტალია) 7:5 5:7 6:2; ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:1 6:3; ნატალი დეში (საფრანგეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:1 6:3; აკიკო მორიგამი (იაპონია) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:1 7:5; ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 2:6 6:3 6:2; ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) — პეტრა მარტიჩი (ხორვატია) 4:6 6:4 7:6; ტამირა პაშეკი (ავსტრია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:3 6:4; ვასილისა ბარდინა (რუსეთი) — სანია ანჩიჩი (ხორვატია) 6:3 6:2; ტატიანა პუჩეკი (ბელარუსია) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 0:6 6:3 (უარი); ჯილ კრეიბასი (აშშ) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:3 2:6 6:0; შუაი პენგი (ჩინეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:0 6:0

**ცოტაც** და მარტში დაგეგმილი მეორე ამერიკული მასტერსიც მთელი ძალით გახურდება. მაიამისთან მდებარე კი ბისკეინის კორტებზე უკვე დაიწყო ჩოგნაობა, ოღონდ ეგაა, რომ თავიდან ბობოლები ისვენებენ და მხოლოდ მეორე წრიდან ჩაერთვებიან საქმეში. ეს კი შაბათამდე ალბათ არ მოხდება, რის გამოც დიდად მნიშვნელოვანი ჯერ არაფერი მომხდარა. მაგრამ პატარ-პატარა მოულოდნელობების გარეშე პირველ სათამაშო დღეს მაინც არ ჩაუვლია და ამაზე ერთი-ორი სიტყვა ვთქვათ.

ცუდად მიდის გუსტავო კუერტენის კორტზე მობრუნების საქმე — როგორც სპეციალისტთა უმრავლესობა ვარაუდობდა, 30 წლის ბრაზილიელს უკვე აღარც საკმარისი ძალა შერჩენია და თამაშის ძველებურ მულამზეც ვერ არის. ამის დასტურად სამხრეთამერიკელის რაემონ სლუტერისგან განადგურებაც გამოდგება.

სტაბილურობით ვერ დაიკვეხნის ივო კარლოვიჩიც. ერთ-ერთი უძლიერესი მოწოდების პატრონმა ხორვატმა ამჯერად ცხვირი გილერმო გარსია-ლოპესზე წაიმტვრია. გოლიათმა ბალკანელმა 19 ეისი კი მოაწოდა, მაგრამ მეტი ღირებული კორტზე აღარაფერი უქნია და ამიტომ ევროპაში დაბრუნება დაგეგმილზე ადრე მოუწევს.

არ უმართლებს ტაილანდელთა პირველმეჩოგნე პარადონ შრიჩაპანსაც. საჩოგბურთო ანტრაქტის დროს ბუდისტთა მონასტერს შეფარებულმა აზიელმა ძლივს მოირჩინა ტრავმები და ახალი ძალებით დაბრუნდა, მაგრამ კიდევ ერთხელ არ გაუმართლა და ფლორიდაში პირველივე შეხვედრაში ფეხი დაიზიანა, რის გამოც თამაში ბოლომდე ვერ ჩაასრულა.

ქალთა შორის ჯილ კრეიბასის გამოვარდნა გამოვყოთ. შარშან ეს ამერიკელი ლამის ტურნირის მთავარ მოულოდნელობად იქცა, როცა მეორე წრეში კიმ კლაისტერსი წააქცია და შემდეგ მეოთხედფინალამდეც იარა, ახლა კი მეორე წრეშიც ვერ გავიდა და რობერტა ვინჩისთან დამარცხდა.

დღეს ტურნირის ძირითად ბადეში მყოფი ერთადერთი ჩვენებური ანა ტატიშვილი გავა კორტზე, რომელსაც ჰოლანდიელ მიქაელა კრაიჩეკთან მოუწევს ურთიერთობების გარკვევა.

**კახა ლომაშვილი**

# ოქსანა და იტალიელები

**სოფო ქვაცაბაიამ** ვერც ამ ჯერზე შეძლო 19 წლისა და WTA-ს კლასიფიკაციაში 387-ე ადგილზე მყოფი ფრანგის ვიოლეტ ჰუკის დამარცხება.

ორი კვირაა, საბერძნეთის მთავარქალაქ ათენში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით 10-ათასიანი ტურნირები ტარდება და უკვე მეორედ, 18 წლის ქართველი საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშის შემდეგ ძირითად ბადეშიც ჯაბნის პირველ მეტოქეს, მაგრამ მეორე წრეში ჰუკთან მარცხდება.

ამ ჯერზე წინა კვირისგან განსხვავება ისღა იყო, რომ სოფომ ორში კი არა, სამ სეტში წააგო — პირველ პარტიაში 6:4 დაჯაბნა მეტოქე, მაგრამ შემდეგ ველარას გახდა და 6:4 0:6 1:6 დამარცხდა.

წააგო საქართველოს პირველმა ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმაც. მაკა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ რიდინგის ჰარდზე მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე მე-7 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ქართველს 22 წლისა და რეიტინგში 212-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ ანჯელა ჰეინსთან თამაშში ტრავმამაც შეუშალა ხელი. ჩახნაშვილი 1:6 0:4 აგებდა, როდესაც მატჩის გაგრძელება ველარ შეძლო და შეჯიბრი ასე ნაადრევად დაასრულა.

ერთადერთი ჩვენებური, რომელიც ამ კვირის ტურნირებზე თამაშს აგრძელებს, ოქსანა კალაშნიკოვაა. ეგვიპტის მთავარქალაქ კაიროს თიხნარზე მიმდინარე 10 ათასიანი ტურნირის მეორე წრეში ოქსანამ 6:2 7:5 დაამარცხა იტალიელი ვიტორია პერუჯინი და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც კიდევ ერთ იტალიელს აგნესე ზუჩინის შეხვდება.



## სარაგბო და საამაყო აძური



ზოგჯერ თურმე დამარცხებაც შეიძლება ლამაზი იყოს. ყოველ შემთხვევაში, იტალიური გაზეთი „ლა გაძეტა დელო სპორტი“ ასე თვლის და ალბათ მართალიცაა.

იშვიათად, რომ ამ პრესტიჟული გაზეთის პირველი გვერდი სარაგბო თემამ დაიკავოს, თუმცა ირლანდია — იტალიის მატჩის შემდეგ სწორედ ასე მოხდა. იტალიელები გვარიანად აგებდნენ, თუმცა თამაშის მიწურულს ორი ლელო დადეს და 51:24 წააგეს. საერთოდაც, წლევანდელი ექვსერობა აპენინელთათვის გამორჩეული იყო. სარაგბო „აძურიმ“ ტურნირში ორი მატჩის მოგება ისტორიაში პირველად მოახერხა.

შოტლანდიისა და უელსის ძლევამ იტალიელი მორაგბეები ეროვნული გმირების როლში ცოტა ხნით მაინც ჩაუნაცვლა ფეხბურთელებს.

## ძველ ოჯს ახლების არ სჯერა

ავსტრალიელთა კაპიტანყოფილი მაიკლ ლინა ან ძალიან ფრთხილი კაცია, ან გამოუსწორებელი პესიმისტი.

ასეა თუ ისე, ლინა თვლის, რომ ავსტრალიელები უელსელებს უნდა უფრთხოდნენ და კელტთა სამასპინძლოდ ზაფხულში სერიოზულად მოემზადონ.

შეგახსენებთ, უელსი ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ავსტრალიაში ორი ტესტის გამართვას ფიქრობს და წარმატების ეიმედება, მით უმეტეს, რომ გასულ შაბათს ინგლისელთა ძლევამ საკუთარი თავის რწმენა შემატა.

„უელსელი რომ ვიყო, ჩემი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებული ვიქნებოდი — ამბობს ლინა — ავსტრალიური რაგბი კრიზისშია, ზე-14-ში ვერც ერთი ჩვენი გუნდი ვერ ბრწყინავს, უელსელებმა კი ინგლისთანაც დაამტკიცეს თავიანთი ძალა“.

## ქეთი არას არ ამბობს



35 წლის მაიკ ქეთს ეიმედება, რომ ინგლისელთა თავკაცი ბრაიან ეშტონი სამსოფლიოჩემპიონატოდ „ვარდების“ შემადგენლობაში იხმობს.

წარმოშობით სამხრეთაფრიკელ ქეტს ინგლისის ნაკრებში 13 წლის წინ ჰქონდა დებიუტი. ნაკრებში დაბრუნებულმა ვეტერანმა საფრანგეთთან და უელსთან ბრწყინვალედ ითამაშა და ნაკრებს უკაპიტნა კიდეც, თუმცა თავად ამბობს, მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშო და მნიშვნელობა არა აქვს, კაპიტნის სამკლავურით თუ მის გარეშეო.

„არასოდეს მითქვამს, არასოდეს და არც მომავალში ვაპირებ. კარიერის დასრულება ჯერ აზრადაც არ გამივლია“ — აცხადებს ქეთი.

## ლომუ ლომურ წარსულს იხსენებს



ჰონკონგის ტრადიციულ შვიდკაცა ტურნირზე 11 წლის წინ მსოფლიო სარაგბო თემმა ახალზელანდიელი ჯონა ლომუს ბრწყინვალება აღიარა. წლეულს ლომუ ისევ ჰონკონგშია, ამჯერად ის ძირითად ტურნირამდე გასამართ მოსათელ შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას.

მის მხარდამხარ ლეგენდათა ნაკრებში სკოტ რობერტსონი, პოლ მილერი, ორენე აიი და ბრენდან ლეინიც იბურთავებენ. ტურნირში მსოფლიო თასის მომგები ვოლაბი — ტუტი კეფუ და ახალზელანდიელთა ნაკრების ყოფილი მოთამაშე სკოტ მაკლეოდიც მიიღებენ მონაწილეობას.

„ჰონკონგი ჩემში საუკეთესო მოგონებებს იწვევს. ერთი სული მაქვს, ჩემს ძველ მეგობრებთან ერთად ვიბურთაო“ — განაცხადა ზელანდიელმა მთაკაცმა.

**ლადო ჭულუკიძე**

ძიუდო

# ხაბარელმა ევროპა ჩამოწერა



**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შვიდეული გამოაცხადა. ქართულმა გუნდმა დღეს ბორჯომში წინასაევროპო ბოლო შეკრება დაიწყო. ვარჯიშები ორ კვირას გასტანს. მერე კი ძიუდოისტები თბილისში მხოლოდ ერთი დღით ჩამოვლენ და ბელგრადში გაფრინდებიან.

შიდა კონკურენციის ლიდერები საერთაშორისო ტურნირებსა და შეკრებებზე გამოიკვეთნენ. ტრავმიანობის გამო მხოლოდ დავით ქევხიშვილმა ვერ მოახერხა ტატამზე გასვლა. ევროპის სამგზის პრიზიორმა ახლახან განაახლა ვარჯიში და ბოლომდე ჯერაც ვერ იტვირთება, მაგრამ, პრობლემების მიუხედავად, მაინც აშკარად უკონკურენტოა 73 კილოგრამში.

„ქევხიშვილი ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად იჭიდავებს. მართალია, მენისკის ოპერაციის გამო ტურნირები გაუცდა, მაგრამ იმხელა გამოცდილება აქვს, ეს პრობლემა დიდად ხელისშემშლელი არ უნდა იყოს. მთავარია, ტრავმა არ გაუმიზეზდეს ბორჯომულ შეკრებაზე დათოს და საევროპო შემადგენლობის სხვა წევრების გარდა ნაკრების კანდიდატთა გაფართოებული შემადგენლობაც მიგვყავს — თითოეულ წონაში 4-5 ძიუდოისტი. ეს შხადების ბოლო ეტაპია და ძირითადი შემადგენლობის წევრებმა ოპტიმალურ ფორმას სწორედ ბორჯომში უნდა მიაღწიონ" — გვითხრა შოთა ხაბარელმა.

აქვე ჩვენი საევროპო შემადგენლობაც: 60კგ — ნესტორ ხერგიანი, 66 კგ — ზაზა კედელაშვილი, 73 კგ — დავით ქევხიშვილი, 81 კგ — გიორგი ბაინდურაშვილი, 90 კგ — ირაკლი ცირეკიძე, 100 კგ — ლევან ჟორჟოლიანი, +100 კგ — ლაშა გუჯეჯიანი.

**ოთარ გალლაძელიძე**

ცურვა

## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი - 1 აპრილი

# მსოფლიო რუსეთის არ ყოფილა




**რამდენი** დღეა, მელბურნში მსოფლიოს ჩემპიონატი დგაფუნობს, მედლების რამდენი კომპლექტი გათამაშდა და პირველად მოხდა, რომ სინქრონულ ცურვაში ოქრო რუსს კი არა, მსოფლიოს სხვა ქვეყნის დროშით მოცურავეს ერგო.

რუსთა გუნდმა შვიდი ოქროს მოპოვება მოასწრო და დამაჯერებლად ლიდერობს მედლების ჩათვლაში. მეორეადგილოსან ჩინეთს უმაღლესი სინჯის „მხოლოდ" ოთხი მედალი აქვს.

რუსეთს 7 ოქროდან 4 სწორედ სინქრონულად მოცურავეებმა მოუტანეს, რომლებიც დანარჩენებს ლამის ერთი თავით უგებდნენ. ახლა კი ნურას უკაცრავად — სხვადასხვა დისციპლინებში უკვე ორჯერ გაჩემპიონებულ ნატალია იშჩენკოს თავისუფალ სოლო გამოსვლაში ფრანგმა ვირჟინი დიდიემ აჯობა და მსოფლიოს აჩვენა, რომ ყველაფერი რუსების არაა.

სამშაბათს მელბურნში მედლების ეს ერთი კომპლექტი გათამაშდა. სხვა სახეობაში წინასწარი შეჯიბრებები გაიმართა. კაცთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამოვიდნენ ჩვენებურები — ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი. რამდენიმე დღის წინ ამ ბიჭებმა ასევე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში სცადეს ბედი და 17 წყვილს შორის მე-16 ადგილი აიღეს. ახალგაზრდა ქართველებმა ვერც ცალ-ცალკე აჩვენეს ძალიან მაღალი შედეგები — ჭანტურიამ 284,25 ქულით 42-ე ადგილი დაიკავა, გევორქიანმა კი 272,90 ქულით 43-ე. სულ 46 მხტომელი მონაწილეობდა ამ დისციპლინაში და ფინალში 8 მათგანი გავიდა, რომელთა შორის უარესს, კუბელ ხორხე ბეტანკურს 429,60 ქულა ჰქონდა.

**კოტე ყორშია**

**სინქრონული ცურვა**
**თავისუფალი სოლო**
1. ვირჟინი დიდიე (საფრანგეთი) 99,500; 2. ნატალია იშჩენკო (რუსეთი) 98,500; 3. ხემან მანგუალ სივილი (ესპანეთი) 96,600

კრიკეტი

# ვულმერის გლოვაში ზიმბაბვე დაიმარხა

**შეიძლება,** უკვე მოსაბეზრებელიც იყოს, მაგრამ კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატის ამბები ისევ პაკისტანელთა მწვრთნელ ბობ ვულმერის გარდაცვალების გარშემო არსებული გარემოებებით უნდა დავიწყოთ. გამოძიება სულ უფრო იხრება იმ ვერსიისკენ, რომ ვულმერი თავისით არ გარდაცვლილა და მას ამაში „დაეხმარნენ". ამის თქმის საფუძველს იამაიკის პოლიციას ის აძლევს, რომ გაკვეთისას მწვრთნელის კისრის ერთ-ერთი ძვალი გატეხილი აღმოჩნდა, რაც სხვა პირის მიერ უნდა იყოს ჩადენილი. იამაიკელ სამართალდამცავებს მალე დაეხმარებიან — რადგანაც ვულმერი ბრიტანეთის მოქალაქე იყო, კარიბეთში საქმეში გასარკვევად სკოტლენდ იარდს გაუგზავნია ორი გამომძიებელი.

სხვანაირად ალაპარაკდნენ ვულმერის ოჯახის წევრებიც. კერძოდ, მწვრთნელის მეუღლემ განაცხადა, რომ მკვლელობის ვერსიას არ გამორიცხავს. იგივე აზრს იზიარებს პაკისტანის ნაკრების ყოფილი წევერი სარფრაზ ნავაზიც, რომელიც აცხადებს, რომ ვულმერზე ტოტალიზატორის მაფიამ იძია შური.

ამასობაში კი საკუთრივ პაკისტანის ნაკრებმა ჩემპიონატზე გამოსვლა დაასრულა. მწვრთნელის პატივსაცემად აზიელებმა ბოლო შეხვედრაში ზიმბაბვე დაამარცხეს და ამით ფსკერზე წაიყოლიეს საცოდავი აფრიკელები, რომლებსაც ამ მატჩში გამარჯვება ესაჭიროებოდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფიდან მასპინძელი ვესტ ინდოეთი და დებიუტანტი ირლანდია გავიდნენ.

დღის მეორე მატჩში კი შრი ლანკამ ბანგლადეში წააქცია და B ჯგუფში ყველაფერი აწეწა. ახლა სუპერრვაში მოხვედრის შანსები სამ ნაკრებს დარჩა — ინდოეთს, შრი ლანკასა და ბანგლადეშს, რომლებსაც თითო მოგება-წაგება მოუგროვდათ. ასე რომ, ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა, როდესაც ინდოეთ-შრი ლანკას შორის ნაღდი ჯახი უნდა შედგეს.

**ძაბა ლომაშვილი**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

21 მარტი

**ბუფალო 5:2 ვაშინგტონი**
*0:0 3:1 2:1*
1:0 როი (21), 2:0 მაკარტური (29), 2:1 პოტიე (35), 3:1 ბრიარი (38), 4:1 სტაფორდი (49), 5:1 სტაფორდი (54), 5:2 ბრაშირი (59)

**რეინჯერსი 5:0 ფილადელფია**
*1:0 2:0 2:0*
1:0 პრუხა (4), 2:0 იაგრი (22), 3:0 ევერი (28), 4:0 ორტმაიერი (51), 5:0 ევერი (53)

**ჩიკაგო 1:4 სან ხოსე**
*1:1 0:1 0:2*
0:1 ჩიჩუ (8), 1:1 შარპი (16), 1:2 მიხალეკი (31), 1:3 ჩიჩუ (46), 1:4 მიხალეკი (53)

**ვანკუვერი 2:0 ნეშვილი**
*2:0 0:0 0:0*
1:0 ბულისი (11), 2:0 სანტალა (18)

**ედმონტონი 1:5 კოლორადო**
*0:2 0:3 1:0*
0:1 ლაპერერი (2), 0:2 საკიკი (5), 0:3 ლაპერერი (23), 0:4 ლაილზი (35), 0:5 კლარკი (36), 1:5 ტორესენი (46)

**ლოს ანჯელესი 2:4 დალასი**
*1:0 0:1 1:3*
1:0 ლუნდმარკი (20), 1:1 რიბეირო (31), 2:1 ბრაუნი (41), 2:2 მიეტინენი (43), 2:3 ბარჩი (45), 2:4 პელპერნი (60)

# ორი, ერთი ჰუკი და... მორჩა

**21-ე წამი...** უძლიერესი ჰუკი მარჯვენიდან... მეტოქე ღრმა ნოკაუტშია და მის გონზე მოყვანას მთელი ამერიკული მედიცინა სჭირდება...

არ გეგონოთ, რომ რომელიმე სუპერმოკრივის მორიგ გამარჯვებას აღვწერდეთ — ეს ამბავი გუშინ „მედისონ სქუერ გარდენში" მოხდა. მოჩხუბრები კი რეინჯერსელი კოლტონ ორი და ფილადელფიელი ტოდ ფედორუკი გახლდნენ. ეს ძლიერი ჰუკი კი მასპინძელ ორს ჰქონია, რომელიც თავიდანვე დაეჯახა სტუმართა უმთავრეს „პოლიციელს" და მისი ამდენად იოლად ძლევით თანაგუნდელები ისეთ კარგ ხასიათზე დააყენა, რომ „რეინჯერსმა" მეტოქე 5:0 გაანადგურა.

არადა, ბევრისთვის „ბრძოლის" ასე დამთავრება მოულოდნელობა იყო, რადგანაც ფედორუკი კარგ მოჩხუბრად ითვლება. თუმც წლეულს ამ ზორბა კანადელს მაგრად არ უმართლებს — სეზონის დასაწყისში, როცა ის ჯერ კიდევ „ანაჰაიმში" იყო, მინესოტელ დერეკ ბუგარდისგან გაილახა, რის გამოც 15 მატჩის გამოტოვება მოუწია. ახლა კი ასეთი რამ დაემართა — ალბათ დროა, ეს კაცი ჩხუბს საერთოდ შეეშვას, ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მაინდამაინც კარგი ჰოკეისტი არასდროს ყოფილა, ჯობს საერთოდ, ჰოკეის დაანებო თავი, სანამ ჯანმრთელობის ნასახი შერჩენია. თვითონ ფედორუკი კი გონს ყინულზევე მოვიდა და უკვე საავადმყოფოდანაც გამოწერეს.

ისე კი, ამ გუნდებს შორის ჩხუბები ახალი ამბავი არაა. ისინი თანადივიზიონელები არიან, ამიტომ სეზონში რვაჯერ ხვდებიან ერთმანეთს და მათი შეხლა-შემოხლა ჩვეულებრივი ამბავია. თუნდაც ორიოდე თვის წინანდელი შემთხვევა რად ღირს, როცა სათადარიგო სკამისკენ მიმავალმა რეინჯერსელმა ბრენდან შენაჰანმა და ფილადელფიელმა მაიკ კნუბლმა ერთმანეთი „ვერ" დაინახეს და ისე შეასკდნენ ერთურთს, რომ ორივე საავადმყოფოში წასაყვანი გახდა.

**ძაბა ლომაშვილი**



კოლტონ ორმა ტოდ ფედორუკს ერთი აჭახა და დაამთავრა

## მსოფლიოს ჩემპიონატი
## ტოკიო. იაპონია. 19-25 მარტი

# ჟუბერი მონტე კრისტოა


AFP ტოკიოდან

ბრაიან ჟუბერი

42 **წელია,** ფრანგ კაცებს ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი არ მოეგოთ და აი, ეს დანავსული წრე ბრაიან ჟუბერმა ტოკიოში გაარღვია და ევროპულ პირველობათა ორი ოქროსა და მსოფლიოს ჩემპიონატების ორი ვერცხლის შემდეგ მთავარი — მსოფლიო ოქროც მოიპოვა.

ჟუბერმა თავის გამარჯვებას საფუძველი მოკლე პროგრამაში ჩაუყარა, რომელიც დიდი უპირატესობით მოიგო და, მართალია, თავისუფალ პროგრამაში შეცდომები დაუშვა და მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა, ჯამში აზლოს მაინც არავინ გაიკარა.

ჟუბერის გადასწრება მოკლე პროგრამის შემდეგ მეორე ადგილზე მყოფ კანადელ ჯეფრი ბატლს შეეძლო, ვინც ბოლოს გავიდა ყინულზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედმეტი ინერვიულა, სამჯერ დაეცა და საერთოდ უმედლოდ დარჩა.

თავისუფალი პროგრამა ტრიბუნებზე შეკრებილი ათასობით იაპონელის გასახარად დაიცუკა ტაკახასიმ მოიგო და საბოლოო ჯამში მეორე ადგილზე გავიდა. ბრინჯაოს მედალი კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, შვეიცარიელ სტეფან ლამბიელს ერგო.

ჟუბერზე კი ოქრო ალალია. წლევანდელ სეზონში მან ყველა შეჯიბრი მოიგო — ბორდოსა და მოსკოვის „დიდი პრიზის" ეტაპები, სანკტ პეტერბურგში გამართული „დიდი პრიზის" ფინალი, საფრანგეთის ჩემპიონატი, პოლონეთში ჩატარებული ევროპის პირველობა და გამარჯვებათა მთელი ეს კასკადი ტოკიოში, მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლით დაგვირგვინდა.

გუშინვე მოცეკვავე წყვილებმა მეორე — ორიგინალური ცეკვა შეასრულეს და ორი პროგრამის ჯამში ბულგარელები ალბენა დენკოვა და მქსიმ სტავიისკი გაიჭრნენ წინ. ალბენა და მაქსიმი სულ მცირედით უსწრებენ კანადელებს მარი-ფრანს დიუბრეილსა და პატრის ლოზონს, რომლებიც სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობდნენ. მესამე ადგილზე ამერიკელები ტანიტ ბელბინი და ბენჯამინ აგოსტო არიან.

დღეს კი ჩემპიონატის, ქართველებისთვის ყველაზე საინტერესო ნაწილი იწყება — ქალთა შეჯიბრი და ჩვენი ელენე გედევანიშვილი ყინულზე ოცდამეთორმეტე ნომრად გავა.

| კაცები | |
|---|---|
| 1. ბრაიან ჟუბერი (საფრანგეთი) | 240,85 ქულა |
| 2. დაისუკე ტაკახასი (იაპონია) | 237,95 |
| 3. სტეფან ლამბიელი (შვეიცარია) | 233,35 |


ალბენა დენკოვა
და მაქსიმ სტავიისკი

AFP ტოკიოდან






პეტრა მაიდიჩი

AFP სტოკჰოლმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხაილ მიხაილოვიჩის შვედური ღამე

**შვედეთში** წლევანდელი ზამთრის სეზონის ბოლო სათასო ბატალიები დაიწყო. ოთხშაბათს გვიან ღამით სტოკჰოლმის ქუჩებში სპრინტერული რბოლები გაიმართა, ხოლო ამ უქმეებზე ფალუნში კაცთა და ქალთა დუატლონი და ესტაფეტები ჩატარდება და ამით 2006-07 წლების სეზონი ისტორიის კუთვნილება გახდება.

მართალია, მსოფლიოს თასის გამარჯვებულთა ვინაობა კარგა ხნის წინ გაირკვა — გერმანელი ტობიას ანგერერი და ფინელი ვირპი კუიტუნენი გენერალურ კლასიფიკაციებში უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობენ — და სპრინტერთა მცირე ბროლის გლობუსების მფლობელთა ვინაობაც ცნობილი იყო, მაგრამ ამით სტოკჰოლმის ღამეულ სპრინტს ეშხი და აზარტი არ დაუკარგავს.

ქალებში სლოვენიელმა პეტრა მაიდიჩმა იმარჯვა, რომელმაც გვარიანი უპირატესობით აჯობა სეზონის უპირობო ლიდერ კუიტუნენსა და მასპინძელ ანა დალბერგს. კაცებში კი კარიერაში პირველი გამარჯვება იზეიმა კალგარის 1988 წლის ოლიმპიადის ჩემპიონის, მიხაილ დევიატიაროვის ვაჟმა, მიხაილ დევიატიაროვ უმცროსმა. რუსი თავიდანვე გაიჭრა წინ და მდევარ შვედებს — ემილ იონსონსა და მატს ლარსონს მიახლოების საშუალება არ მისცა.

სეზონის საუკეთესო სპრინტერთა სარგო მცირე ბროლის გლობუსები კი კუიტუნენსა და ნორვეგიელ იენს არნე სვარტედალს გადაეცათ.

## მსოფლიოს თასი
## სტოკჰოლმი. შვედეთი

### კაცები

სპრინტი. 1 კმ 1. მიხეილ დევიატიაროვი (რუსეთი); 2. ემილ იონსონი (შვედეთი); 3. მატს ლარსონი (შვედეთი); 4. ოლე ვიგენ ჰატესტადი (ნორვეგია); 5. პეტერ ფონ ალმენი (შვეიცარია).

| სპრინტის საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია) | 341 ქულა |
| 2. ტრონდ ივერსენი (ნორვეგია) | 286 |
| 3. ემილ იონსონი (შვედეთი) | 282 |
| 4. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 234 |
| 5. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 215 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 1031 ქულა |
| 2. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 573 |
| 3. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 556 |
| 4. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 522 |
| 5. ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 465 |

### ქალები

სპრინტი. 1 კმ 1. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია); 2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი); 3. ანა დალბერგი (შვედეთი); 4. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია); 5. პირხო მანინენი (ფინეთი).

| სპრინტის საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 532 ქულა |
| 2. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 385 |
| 3. ნატალია მატვეევა (რუსეთი) | 313 |
| 4. ლინა ანდერსონი (შვედეთი) | 238 |
| 5. ანა დალბერგი (შვედეთი) | 228 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 1507 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 841 |
| 3. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 839 |
| 4. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 814 |
| 5. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 786 |



# ჰოიმ ჰესლიხს გაასწრო

**სატრეკო** ველორბოლაში ბრიტანელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კრისტოფერ ჰოიმ ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 500 მეტრიან დისტანციაზე. ჰოიმ ოლიმპიური ოქრო 1000 მეტრზე ადგილიდან პიტში მოიპოვა და ამ ჯერზე კი ორჯერ ნაკლებ მანძილზე ივარგა.

საბერძნეთის დედაქალაქ ათენის ოლიმპიურ ტრეკზე ბრიტანელმა 500 მეტრი 31,414 წამში გაიქროლა და 0,209 წამი ჩამოაკლო ლეგენდარული გერმანელის ლუტც ჰესლიხის 18 წლის წინანდელ რეკორდს.


ლუტც ჰესლიხის რეკორდმა თითქმის ოცი წელი გაძლო


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა ლოგრიაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge